პროლეტარებო ყველა ქვეყნისა, შეერთდით!

კომუნისტი

საქ. კ. პ. (ბ) ცენტრალური და ტფ. კომიტეტის და ცაკის ორგანო

ფასი 10 კაპ.

ხუთშაბათი,
22
ოქტომბერი
1936 წ.
№ 245 (4744)

დღეს გაზეთშია:

— მთავარია კადრები! (მოწინავე).
— კონსტიტუციის პროექტის საყოველთაო სახალხო განხილვა.
— დოლორეს იბარური — ფაშიზმი უნდა დამარცხდეს! (სტატია).
— დ. ქუჩულორია — საკოლმეურნეო მშენებლობა აფხაზეთში (ფელეტონი).
— შ. მიქელაძე, გრ. მჭედ...ძე, ნ. ჟიჟიძე — ბახმარო — ყურადღება! (ფელეტონი).
— ილო მოსაშვილი — მიდის დოლორეს (ლექსი).
უცხოეთში:
— მდგომარეობა ესპანეთის ფრონტებზე.
— ჩაურევლობის შეთანხმების ახალი დარღვევა.
— რეიტერის სააგენტოს ცნობა.
— გრანდიოზული დემონსტრაცია ალიკანტეში „ნევის" ჩასვლის პატივსაცემად.
— გერინგი — გერმანიის სამეურნეო დიქტატორი.

მთავარია კადრები!

სოციალისტური მშენებლობის თანამედროვე საფეხურზე ჩვენს წინაშე მწვავედაა დაყენებული კადრების საკითხი. ეს გამოწვეულია სოციალიზმის მშენებლობის ბოლშევიკური გაქანებით, მთელი სახალხო მეურნეობის ტექნიკური ბაზის ძირეული რეკონსტრუქციით. კიდევ ერთი წელი და სოციალისტური წარმოების ტექნიკური რეკონსტრუქცია დამთავრებული იქნება.

ტექნიკის განვითარების თვალსაზრისით საბჭოთა კავშირი არამც თუ დაეწია მოწინავე კაპიტალისტურ ქვეყნებს — ბევრ მათგანს გაუსწრო კიდეც.

მაგრამ ტექნიკა ტექნიკა-ათვისებულ ადამიანების გარეშე მკვდარია. ტექნიკა-დაუფლებული, თავის სპეციალობას ღრმად ჩაწვდომილი ადამიანები, რომლებიც იძლევიან შრომის მაღალ ნაყოფიერებას და მაღალ კულტურას — აი, ჩვენი საწარმოო კადრები.

ხალხთა დიდმა ბელადმა ამხანაგმა სტალინმა წითელი არმიის აკადემიკოსთა გამოშვებაზე გაამახვილა პარტიისა და მთელი მშრომელთა მასების ყურადღება კადრებისადმი. „კადრები სწყვეტენ ყველაფერს". „ეს არის ახლა მთავარი"—ბელადის ამ საბრძოლო ლოზუნგისათვის ბოლშევიკურად იბრძვის ჩვენი უძლეველი ქვეყანა.

საბჭოთა კადრები კაბინეტ-ლაბორატორიებში არ იზრდებიან. სოციალისტური მშენებლობის პრაქტიკაა კადრების გამომჭედ-გამომზრდელი ნამდვილი სკოლა. თეორიული ცოდნა, ამ ცოდნის პრაქტიკაში გამოყენება და პრაქტიკით მისი გამდიდრება, თვით პრაქტიკის განაყოფიერება თეორიული ცოდნით — ასეთია ამოცანა, რომელიც სოციალიზმისათვის ბრძოლისა და შრომის პროცესში წარმატებით წყვეტენ საბჭოთა კადრები.

ახალი კადრების აღზრდის საქმეში სოციალიზმის ქვეყანას ისტორიული მიღწევები აქვს. რასაც ძველად საუკუნეები ჰქმნიდნენ, ახლა წლები ჰქმნიან. ჭეშმარიტად, ისტორიის ლოკომოტივი — ეს პროლეტარული რევოლუციაა! ჩვენ შევქმენით, გავზარდეთ საკუთარი კადრები. არ არის ჩვენი მდიდარი და მრავალფეროვანი ცხოვრების არცერთი დარგი, რომელსაც არ მართავდეს რევოლუციის მიერ წარმოშობილი, სტალინური მზრუნველობით აღზრდილი საბჭოთა ადამიანი. მიწაზე, მიწის ქვეშ, ზღვაზე, ზღვის ქვეშ, ჰაერში, სტრატოსფეროში — ყველგან ტრიალებს მისი ვაჟკაცური მკლავები.

მაგრამ კადრების პრობლემა ჯერ კიდევ როდია სავსებით გადაწყვეტილი. გიგანტურად სოციალისტური მეურნეობა, სწრაფად იზრდება ჩვენი სამშობლოს სოციალისტური საწარმოო ძალები, შეუნელებლივ ვითარდება წარმოების ტექნიკა. ყოველივე ეს მოითხოვს კადრების „სერიულ წარმოებას", კადრების მომზადება-გამოშვებას „მასობრივი მაშტაბით". კადრები სწყვეტენ ყველაფერს — ასეთია ჩვენი საბრძოლო ლოზუნგი.

კადრების პრობლემას განსაკუთრებით საკოლმეურნეო სოფელი განიცდის მწვავედ. სასოფლო-სამეურნეო წარმოება უკვე ემყარება მოწინავე ტექნიკას, იარაღ-მანქანებს. სასოფლო-სამეურნეო შრომა ხდება ინდუსტრიული შრომის სახეობად. ბოლშევიკური ნაბიჯებით მიდის წინ საკოლმეურნეო წარმოების მექანიზაცია. ყოველივე ეს მწვავედ აყენებს კადრების საკითხს. საკოლმეურნეო სოფელი მოითხოვს ტრაქტორისტებს, კომბაინერებს, ინჟინერ-ტექნიკოსებს, ვეტექიმებს, აგრონომებს, სოფ. საბჭოს კარგ თავმჯდომარეს, პარტორგანიზაციის მომზადებულ, გამოცდილ მდივანს, მოკლეთ—საბჭოთა სოფელი ახალ-ახალ კადრებს მოითხოვს.

ეს კადრები იქმნება, იზრდება, საკოლმეურნეო სოფლის ცხოვრებაში იჭრება. გუშინდელი „სოფლელი ბიჭი", ხარ-კამეჩს, მამაპაპურ ურემსა და კავს ძლივს რომ უვლიდა, დღეს „ჩტზ"-ს ოსტატურად მართავს, კომბაინს ბურთივით მიაგორებს, ავტოს ქარივით მიაქროლებს. ძირეულად შეიცვალა ძველი სოფელი, მოვიდნენ ახალი სოფლის ახალი ადამიანები, რომლებიც შეგნებულად ჰქმნიან თავიანთ გმირულ ისტორიას.

მაგრამ რაც უფრო დიდია მიღწევა, მით უფრო მეტია გასაკეთებელი! სოციალიზმის ქვეყანაში განვითარება უსაზღვროა, წინსვლა დაუსრულებელია.

საკოლმეურნეო წარმოების ბოლშევიკური ზრდა მწვავედ აყენებს კადრების პრობლემას. საკოლმეურნეო მშენებლობის შემდგომი ზრდა და აღმავლობა სწორედ კადრებზეა დამოკიდებული. ჩვენ ვამზადებთ ამ კადრებს, ვიბრძვით კადრებისათვის, მაგრამ ბევრი ნაკლი გვაქვს და ბიუროკრატიულ მოუქნელობასაც ვიჩენთ ხშირად. ამას მოწმობს მრავალი სასოფლო-სამეურნეო ტექნიკუმის მაგალითი. თეორიული სწავლება ბევრგან მოწყვეტილია ცოცხალ პრაქტიკას. საილუსტრაციოდ ისიც კმარა, რომ წინამძღვარიანთკარის მებაღეობა-მევენახეობის ტექნიკუმში სწავლება მიმდინარეობს პრაქტიკასთან დაუკავშირებლად — არაა მოწყობილი საცდელ-საჩვენებელი ნაკვეთი. საწარმოო პრაქტიკა გადამწყვეტია კადრების მომზადებაში, და სწორედ ამ მომენტს ბევრგან როდი აქცევენ ჯეროვან ყურადღებას. ასე კადრების მომზადება არ შეიძლება.

ავიღოთ მეორე საკითხი — თვით მომზადებული კადრების სწორი განაწილება და გამოყენება. აქ ხშირად აშკარა უმსგავსოებასთან გვაქვს საქმე. ბევრგან სოფლის მეურნეობის ძვირფასი კადრები დანიშნულებისამებრ არ იგზავნებიან. ამხ. ლავრენტი ბერიამ თავის შესანიშნავ მოხსენებაში ც. კ-ის მე-5 პლენუმზე ამ უმსგავსობის აუარებელი ფაქტები გამოააშკარავა. საქმე იმაშია, რომ სასოფლო-სამეურნეო კადრების უგულებელყოფას, აშკარა განიავებას, გაფლანგვას ახლაც ბევრგან აქვს ადგილი. ცაგერის სასოფლო-სამეურნეო ტექნიკუმმა 110 აგრონომი გამოუშვა, მაგრამ არცერთი მათგანი თავის სპეციალობაზე არაა გამოყენებული. ამას ეწოდება კადრების გაფლანგვა, კადრი კი ყველაზე უძვირფასესი კაპიტალია. კადრების განიავებას უნდა მოვუღოთ ბოლო.

ორდენოსანი საქართველოს დედაქალაქი საკოლმეურნეო სოფელს უგზავნის 300 სპეციალისტს, გამოცდილ, ენტუზიაზმით აღსავსე, უნარის მქონე, სოციალიზმისათვის მებრძოლ ამხანაგებს.

ეს ხდება ორდენოსანი საქართველოს ორდენოსანი ხელმძღვანელის ამხ. ლავრენტი ბერიას საბრძოლო მითითებით და ხელმძღვანელობით. ჩვენ ეჭვი ოდნავადაც არ გვეპარება იმაში, რომ სოფლად მიმავალი აგრონომი, ზოოტექნიკოსი, ინჟინერ-ტექნიკოსი შეუპოვრად იბრძოლებს საკოლმეურნეო მშენებლობის შემდგომი განმტკიცების ფრონტზე. უდიდესი ნდობით აღჭურვეს ისინი პარტიამ და ხელისუფლებამ. ეს ნდობა სასახელოდ უნდა გამართლდეს. საკოლმეურნეო სოფელმა უნდა იგრძნოს ახალი ძალა, ახალი ნაკადი, ახალი კადრების გამოცდილი და მაგარი ხელი.

ერთი წუთით არ უნდა დაივიწყოს საბჭოთა სპეციალისტმა, რომ ის გონებაშეზღუდული, ჰორიზონტდახშული აკაკი აკაკიევიჩის ტიპის ჩინოვნიკი როდია, რომ ის საკოლმეურნეო ცხოვრების ორგანიზატორია, ახალი ადამიანი, რომელიც თავის მოქმედების არეში აქცევს საკოლმეურნეო მშენებლობის ყველა მხარეს, ყველა მომენტს.

კადრებისადმი სტალინური მზრუნველობა თვითეული ბოლშევიკური ხელმძღვანელის საპატიო ამოცანაა. სოფლად მიმავალ ახალ კადრებს უნდა შევუქმნათ ნაყოფიერი მუშაობის ყოველგვარი პირობა, მათ უნდა იგრძნონ მშობლიური სითბო, გულმხურვალე დამოკიდებულება, მაღალი დაფასება. თვითეულმა ხელმძღვანელმა მუშაკმა, ბოლოსდაბოლოს, უნდა მწვავედ იგრძნოს და შეიგნოს, რომ სამარცხვინოა, აღმაშფოთებელია და ნამდვილი ბოლშევიკისათვის უცხოა მოთმენა ისეთი მდგომარეობისა, როდესაც უბნის აგრონომი, უბინობის გამო, ღამეებს კოლმეურნეობის კანტორაში ათევს. ამას აქვს ადგილი გორის მტს-ში. შეიძლებოდა ეს ფაქტი აქ არ აღგვენიშნა, რომ იგი გამონაკლისი იყოს.

სოფლის მეურნეობის კადრებისგან დღეს მეტს მოვითხოვთ, ისინიც მეტს მოითხოვენ ჩვენგანაც, და სავსებით სამართლიანად. კადრების ყოველმხრივ უზრუნველსაყოფად ჩვენ გაგვაჩნია ყველა პირობა, მათ შორის მთავარი და ძირითადი პირობა — ადამიანისადმი მზრუნველობითი, გულისხმიერი, სტალინური დამოკიდებულება!

საქ. კ. პ. (ბ) ც. კომიტეტს—
ამხ. ლ. ბერიას

ძვირფასო ლავრენტი პავლეს-ძევ!

მოპრ-ის ტფილისის V კონფერენცია მოპრ-ის 66 ათასი წევრის სახელით მხურვალე სალამს გიძღვნით თქვენ, საქართველოს და ამიერ-კავკასიის ბოლშევიკთა მებრძოლ ხელმძღვანელს, სსრკ ხალხთა და მთელი მსოფლიოს მშრომელთა დიდი ბელადის ამხანაგ სტალინის ერთგულ მოწაფეს და თანამებრძოლს.

განუხრელად ვასრულებთ რა დიდი სტალინის მითითებებს: „ბოლომდე ერთგული ვიყოთ პროლეტარული ინტერნაციონალიზმის საქმისა, ყველა ქვეყნის პროლეტართა ძმური კავშირის საქმისა", ჩვენ მჭიდროდ ვაკავშირებთ ქალ. ტფილისის მშრომელებს საერთაშორისო პროლეტარული სოლიდარობის საქმისათვის, კაპიტალის ტყვეებისადმი მორალური და მატერიალური დახმარების საქმისათვის.

ჩვენ ერთი წუთითაც არ ვივიწყებთ, რომ ზრუნვა ესპანეთის მშრომელ მუშებზე, გლეხებსა და მშრომელ ინტელიგენციაზე, რომლებიც არა თვეზე მეტი გმირულად იცავენ დემოკრატიული რესპუბლიკის მონაპოვარს გაშმაგებული ფაშისტური ბანდების წინააღმდეგ, იმ ბანდების, რომლებმაც მიზნად დაისახეს დაამყარონ ესპანეთში სისხლისმსმელი ფაშისტური დიქტატურა, ბრძოლა გერმანიის მუშათა კლასის ბელადის ამხ. ტელმანის, აგრეთვე ერთგული კომუნისტ მატიას რაკოშის და ხალხის თავისუფლებისათვის სხვა მებრძოლთა განთავისუფლებისათვის, რომლებიც გამომწყვდეულნი არიან ფაშისტურ საპყრობილეებსა და საკონცენტრაციო ბანაკებში, წარმოადგენს ჩვენს წმინდა მოვალეობას და იმ ბრძოლის განუყრელ ნაწილს, რომელსაც მთელი მსოფლიოს მშრომელნი ეწევიან ფაშიზმისა და იმპერიალისტური ომების წინააღმდეგ, მშვიდობიანობისა და თავისუფლების სასარგებლოდ.

მოპრ-ის ტფილისის V კონფერენცია პირობას გაძლევთ თქვენ, ძვირფასო ამხ. ლავრენტი, რომ თქვენი მზრუნველობის შედეგად, საქართველოს კ. პ. (ბ) ც. კ-ისა და ტფილისის კომიტეტის ხელმძღვანელობით ჩვენ უახლოეს ხანში ამოვფხვრით ჩვენი მუშაობის ყველა ნაკლს და მთელი ინტერნაციონალური საგზაფოტო მასობრივი და ორგანიზაციული მუშაობის ხარისხის გაუმჯობესებით და გაუმჯობესების საფუძველზე გავხდებით სსრკ მოპრ-ის ორგანიზაციათა მოწინავე რიგებში.

გაუმარჯოს ჩვენს დიად სოციალისტურ სამშობლოს—მთელი მსოფლიოს მშრომელთა სამშობლოს!

გაუმარჯოს მშრომელთა და მთელი ჩაგრული კაცობრიობის ბელადს ამხანაგ სტალინს!

გაუმარჯოს დიდი სტალინის საუკეთესო მოწაფეს, საქართველოს და ამიერ-კავკასიის ბოლშევიკთა მებრძოლ ხელმძღვანელს ამხ. ლ. ბერიას! (საქტაგ).

მდგომარეობა ესპანეთის ფრონტებზე

ლონდონი, 21 ოქტომბერი. ინგლისური პრესის გადმოცემით, მთავრობის ჯარებმა 20 ოქტომბერს არანხუესის დასავლეთით მნიშვნელოვანი გამარჯვება მოიპოვეს ესპანელ მეამბოხეებზე. იერიშის შედეგად რესპუბლიკელებმა აიძულეს მეამბოხენი უკან დაეხიათ 11 კილომეტრზე მეტით ილიესკასისაკენ (ტოლედოს გზაზე). გაზეთები აღნიშნავენ მთავრობის ჯარების იმ მეომართა განსაკუთრებულ სიმამაცესა და დისციპლინას, რომლებიც იერიშში მონაწილეობდნენ.

რეიტერის სააგენტოს გადმოცემით, მეამბოხეებმა დაიკავეს ესპანეთის კუნძული ფერნანდო პო, რომელიც ნიგერიის (აფრიკა) სანაპიროზე მდებარეობს.

ოვიედოს მდგომარეობის შესახებ ინგლისურ პრესაში ურთიერთის საწინააღმდეგო ცნობები იბეჭდება. გაზეთი „ტაიმსი" სწერს, ოვიედოში გაფართოებული ბრძოლები გრძელდება.

ესპანეთის სამხედრო სამინისტროს ცნობაში ნათქვამია, რომ მეამბოხეთა იმ კოლონის წინააღმდეგ, რომელიც ოვიედოსაკენ მიიწევს, მთავრობის ჯარის ნაწილები დიდ ბრძოლას აწარმოებენ. ასტურიის გმირი მაღაროელები მეამბოხეებს დიდ ზარალს აყენებენ.

20 ოქტომბრის იმავე ცნობაში, იუწყებიან, რომ ტახოს რაიონში რესპუბლიკის ჯარების ქვეითმა დიდმა კოლონამ ძლიერი იერიში დაიწყო. მეამბოხეებმა უკან დაიხიეს და მათ დიდი ზარალი მოუვიდათ. არაგონის ფრონტზე რესპუბლიკის თვითმფრინავები განუწყვეტლივ უშენენ ყუმბარას მეამბოხეთა პოზიციებს ტარდიენტის რაიონებში (საქტაგ).

◇ ◇ ◇

ჩაურევლობის შეთანხმების ახალი დარღვევანი

ლონდონი, 20 ოქტომბერი. რეიტერის სააგენტოს ცნობით, ესპანეთის ელჩმა ლონდონში დღეს საღამოს ინგლისის საგარეო საქმეთა სამინისტროს ჩააბარა ნოტა, რომელიც ადასტურებს ესპანეთის საქმეებში ჩაურევლობის შეთანხმების დარღვევას. ფიქრობენ, სწერს რეიტერის სააგენტო, რომ ნოტაში ჩამოთვლილია მთელი რიგი კონკრეტული ფაქტები, მათ შორის შემდეგი:

1. 15 ოქტომბერს კადიქსში გემდან გადმოტვირთეს იტალიიდან მოტანილი ტანკების დიდი რაოდენობა და ასი ტყვიამფრქვევი.
2. 17 ოქტომბერს ალჟესირასში გერმანიის ხომალდმა გადმოტვირთა საზენიტო ქვემეხები. (საქტაგ)

ლორდ პლიმუტის წერილი
გერმანიის, იტალიისა და პორტუგალიის წარმომადგენლებს

ლონდონი, 20 ოქტომბერი. რეიტერის სააგენტოს გადმოცემით, ესპანეთის საქმეებში ჩაურევლობის საკითხთა კომიტეტის თავმჯდომარემ ლორდმა პლიმუტმა გუშინ წერილი გაუგზავნა იტალიის, გერმანიისა და პორტუგალიის წარმომადგენლებს. პლიმუტი სთხოვს ამ წარმომადგენლებს მოამზადონ თავიანთი შენიშვნები საბჭოთა მთავრობის მიერ გაკეთებულ იმ განცხადებათა გამო, რომლებიც ჩაურევლობის შესახებ დადებული შეთანხმების დარღვევას შეეხება, რათა ეს შენიშვნები განხილულ იქნას კომიტეტის სხდომაზე, რომელიც, როგორც ფიქრობენ, მიმდინარე კვირის დამლევს შესდგება. (საქტაგ)

რეიტერის სააგენტოს ცნობა

ლონდონი, 20 ოქტომბერი. როგორც რეიტერის სააგენტო გადმოგვცემს, მის მიერ მიღებული ცნობების თანახმად, ინგლისის მთავრობა შეშფოთებულია იმით, რომ იტალია, გერმანია და პორტუგალია აჭიანურებენ პასუხის გაცემას საბჭოთა კავშირის წარმომადგენლის განცხადებაზე ესპანეთის საქმეებში ჩაურევლობის შესახებ დადებული შეთანხმების დარღვევის გამო. ინგლისის მთავრობა იმედოვნებს, რომ პასუხი რაც შეიძლება სწრაფად იქნება მიღებული. საგარეო საქმეთა მინისტრმა იდენმა გამოსთქვა სურვილი ამ კვირაში მოიწვიოს ჩაურევლობის საკითხთა კომიტეტის სხდომა. მაგრამ სხდომა არ შეიძლება მოწვეულ იქნას, ვიდრე არ გამოირკვევა, რომ პასუხი გამოგზავნილია და გზაში მაინც იმყოფება. (საქტაგ)

მარტის დეპეშა ბლიუმს

პარიზი, 20 ოქტომბერი. საფრანგეთის პალატის კომუნისტმა დეპუტატმა მარტიმ, რომელიც ამჟამად ესპანეთში იმყოფება, პრემიერ-მინისტრ ბლიუმს გაუგზავნა დეპეშა. ამ დეპეშით იგი ატყობინებს, რომ გიბრალტარის სრუტეში მომხდარი ბრძოლის დროს ესპანელ მეამბოხეთა კრეისერის „კანარიასის" პილოტმა ლანჩამ იერიში მიიტანა საფრანგეთის სავაჭრო გემის „კუტუბიას" ნავზე, რომელსაც სურდა გადაერჩინა რესპუბლიკელთა ჩაძირული ნაღმოსნის „ალმირანტე ფერანდის" მეზღვაურები. ესპანელმა მეამბოხეებმა, — აღნიშნავს მარტი, — თავიანთი საქციელით არა მარტო აბუჩად აიგდეს საზღვაო ტრადიციები, არამედ ემუქრებოდნენ კიდეც ფრანგ მეზღვაურთა სიცოცხლეს, რომლებიც ადამიანობის აქტს ასრულებდნენ. მარტი გამოსთქვამს იმედს, რომ საფრანგეთის მთავრობა მიიღებს სათანადო ზომებს, რათა უზრუნველყოს საფრანგეთის გემების მეზღვაურთა, სარდლობისა და მგზავრთა უშიშროება. (საქტაგ)

საერთაშორისო სოლიდარობის კომიტეტი

მადრიდი, 19 ოქტომბერი. შეიქმნა საერთაშორისო სოლიდარობის კომიტეტი იმ სურსათის, ტანისამოსის, მედიკამენტებისა და ფულის გასანაწილებლად, რომლებიც შეგროვილია საზღვარგარეთ ფაშიზმის წინააღმდეგ მებრძოლი ესპანელი ხალხისათვის. კომიტეტს კონტაქტი ექნება ესპანეთის ხალხის დახმარების პარიზის კომიტეტთან, რათა მოაწესრიგოს საჭირო საგნების შესყიდვა საზღვარგარეთ. კომიტეტის თავმჯდომარეა — მემარცხენე რესპუბლიკელთა ნაციონალური საბჭოს წევრი სოლოლოსაბალი, მდივანი — მოპრ-ის ესპანეთის სექციის აღმასრულებელი კომიტეტის წევრი ბეგა, ხაზინადარი — მუშათა საყოველთაო კავშირის აღმასრულებელი კომისიის წევრი ლოისი. (საქტაგ)

„ყველანი ფრონტზე"!

ლონდონი, 20 ოქტომბერი. მადრიდიდან მიღებული ცნობებით, რომლებიც საღამოს გაზეთებში გამოქვეყნდა, მადრიდში გამოცხადებულია ლოზუნგი: „ყველანი ფრონტზე! მტერი კარზეა მომდგარი"! ავტომობილებითა და ტაქსებით სასწრაფოდ გზავნიან ფრონტზე მობილიზებულებს. მრავალი მათგანი მთლიანად შეიარაღებული არ არის, ზოგმა სამხედრო ფორმის ჩაცმაც კი ვერ მოასწრო. ფრონტზე იგზავნება აგრეთვე საბარგო ავტომანქანები საბრძოლო მასალითა და ქვიშიანი ტომრებით, უმთავრესად ესკორიალისა და ნავალკარნეროს რაიონებში. (საქტაგ)

ესპანეთის მთავრობის მთელი ფლოტი გადაყვანილია ხმელთაშუა ზღვაში

ლონდონი, 20 ოქტომბერი. „დეილი ტელეგრაფის" ცნობით, ესპანეთის მთავრობის მთელი ფლოტი, რომელიც რამდენიმე დღეს ესპანეთის ჩრდილო სანაპიროსთან იმყოფებოდა, ამჟამად გადაყვანილია ხმელთაშუა ზღვაში. გემებმა ისარგებლეს უმთვარო ღამით და შეუმჩნევლად გაიარეს გიბრალტარის სრუტე. ესპანეთის მთავრობის ფლოტის წყალქვეშა ნავები უკანასკნელ დღეებში გიბრალტარის ახლოს დადიოდნენ. (საქტაგ)

მეამბოხეებმა ხელში ჩაიგდეს კუნძული ფერნანდო პო

ლონდონი, 20 ოქტომბერი. რეიტერის სააგენტოს ცნობით, ესპანეთის მეამბოხეებმა ხელში ჩაიგდეს ესპანეთის კუნძული ფერნანდო პო ნიგერიის სანაპიროზე (აფრიკა). ესპანეთის მთავრობის მომხრეები კუნძულ ფერნანდო პოზე მეამბოხეებმა საპყრობილეში ჩაჰყარეს. (საქტაგ)

◇

უცხოეთის ქრონიკა

● მილიონერმა ჯოუს პინკოტმა განაცხადა, რომ ამერიკის შეერთებული შტატების პრეზიდენტის მომავალ არჩევნებში ის მხარს დაუჭერს ლენდონის კანდიდატურას. წინათ ჯოუს პინკოტი რუზველტის მომხრედ ითვლებოდა.

● ბომბეიში (ინდოეთი) კვლავ მოხდა შეტაკება მუსულმანებსა და ინდოელებს შორის. მოკლულია 4, დაჭრილია 30 კაცი. პოლიციამ დააპატიმრა 100 კაცი.

● ანკარაში (თურქეთი) ჩავიდა ავღანისტანის სამხედრო მინისტრი სერდარ შაჰ მაჰმუდ-ხანი.

● ქალაქ დუბნოში (პოლონეთი) სასამართლომ დასავლეთ უკრაინის კომპარტიის წევრობისათვის 10 კაცს მიუსაჯა ათ-ათი წლის პატიმრობა.

საბჭოთა კავშირში

საკ. კ. პ. (ბ) მოსკოვის ქალაქის კომიტეტის პლენუმი

მოსკოვი, 20 ოქტომბერი. 20 ოქტომბერს შესდგა საკ. კ. პ. (ბ) მოსკოვის ქალაქის კომიტეტის პლენუმი, რომელიც მიეძღვნა პარტდოკუმენტთა გამოცვლის შედეგებს საკ. კ. პ. (ბ) მოსკოვის ქალაქის ორგანიზაციაში და პარტიაში მიღებისათვის მზადებას. პლენუმმა მოისმინა საკ. კ. პ. (ბ) მოსკოვის კომიტეტის მდივნის ამხ. კოროტჩენკოს მოხსენება პარტიული დოკუმენტების გამოცვლის შედეგების შესახებ საკ. კ. პ. (ბ) მოსკოვის ორგანიზაციაში და საკ. კ. პ. (ბ) ც. კ-ის გადაწყვეტილების შესახებ პარტიაში მიღების განახლების თაობაზე.

კამათში გამოვიდა საკ. კ. პ. (ბ) მოსკოვის ქალაქის კომიტეტის მდივანი ამხ. კულკოვი.

პლენუმის მუშაობის დასასრულს გამოვიდა საკ. კ. პ. (ბ) მოსკოვის კომიტეტისა და მოსკოვის ქალაქის კომიტეტის მდივანი ამხ. ხრუშჩოვი, რომელსაც მქუხარე ტაშით შეხვდნენ. (საქტაგ)

ქრონიკა

20 ოქტომბერს საგარეო საქმეთა სახალხო კომისრის მოადგილემ ამხ. ბ. ს. სტომონიაკოვმა და თურქეთის რესპუბლიკის ელჩმა ხ. ზექაი აპაიდინმა ხელი მოაწერეს შეთანხმებას, რომელსაც ერთგვარი ცვლილება შეაქვს სსრ კავშირსა და თურქეთის რესპუბლიკას შორის დადებული სარკინიგზო კონვენციის იმ ნაწილში, რომელიც შეეხება გადაზიდვის საფასურის გადახდევინებას სასაზღვრო უბანზე და სპეციალური ტიპის ვაგონების რეჟიმს. (საქტაგ).

ამხ. რ. პ. ეიდემანის გამგზავრება თურქეთში

მოსკოვი, 21 ოქტომბერი. საავიაციო საზოგადოების „თურქეთის ფრინველის" პრეზიდენტის ბ-ნ ფუად ბულჯას მიწვევით, 20 ოქტომბერს თურქეთს გაემგზავრა სსრ კავშირის თავდაცვა-ავიაქიმის ცენტრალური საბჭოს თავმჯდომარე კორპუსის მეთაური ამხ. რ. პ. ეიდემანი. ამხ. ეიდემანთან ერთად გაემგზავრნენ თავდაცვა-ავიაქიმის ცენ. საბჭოს საპლანერო განყოფილების უფროსი ამხ. მინოვი და ცნობილი პარაშუტისტი ამხ. შმიდტი და ნიკოლაევა.

სადგურზე დელეგაცია გააცილეს თურქეთის საელჩოს მოხელეებმა, საგარეო საქმეთა სახალხო კომისარიატის პასუხისმგებელმა თანამშრომლებმა, თავდაცვა-ავიაქიმის ხელმძღვანელმა მუშაკებმა და აქტივმა. (საქტაგ)

დარბაზობა საზღვარგარეთთან კულტურული კავშირის საკავშირო საზოგადოებაში ესპანეთის ელჩის დოქტორ მარსელინო პასკუას პატივსაცემად

მოსკოვი, 20 ოქტომბერი. 20 ოქტომბერს საზღვარგარეთთან კულტურული კავშირის საკავშირო საზოგადოების თავმჯდომარემ ამხ. ა. ი. აროსევმა გამართა დარბაზობა ესპანეთის რესპუბლიკის ელჩის სსრ კავშირში დოქტორ მარსელინო პასკუას პატივსაცემად.

დარბაზობას დაესწრნენ სსრკ სახკომსაბჭოსთან არსებული უმაღლესი სწავლის საქმეთა კომიტეტის თავმჯდომარე ამხ. ი. ი. მეჟლაუკი, საგარეო საქმეთა სახალხო კომისარიატის დასავლეთის მესამე განყოფილების გამგე ამხ. ნეიმანი, საგარეო საქმეთა სახალხო კომისარიატის საპრესო განყოფილების გამგე ამხ. გნედინი, თავდაცვის სახალხო კომისარიატის საგარეო ურთიერთობათა განყოფილების უფროსი კორპუსის მეთაური ამხ. გეკერი, საბჭოთა კავშირის გმირები ამხ. ვ. პ. ჩკალოვი და ს. ა. ლევანევსკი, ორდენოსანი—მფრინავი ამხ. გ. ლეშჩენკო, აკადემიკოსი ნ. კ. კოლცოვი, სსრკ სახალხო არტისტი ი. მ. მოსკვინი, რესპუბლიკის სახალხო არტისტები ა. ა. თაიროვი და მ. მ. ტარხანოვი, პროფესორები პლეტნიოვი, ბურდენკო, მწერლები ლახუტი, ლეონოვი, ნიკულინი, ბელა ილეში, ზოზულია, თეატრების დირექტორები, ხელოვნებათა დამსახურებული მოღვაწენი, რესპუბლიკის დამსახურებული არტისტები, საგარეო საქმეთა სახალხო კომისარიატის და საზღვარგარეთთან კულტურული კავშირის საკავშირო საზოგადოების პასუხისმგებელი მუშაკები, საბჭოთა საზოგადოებრიობის მრავალრიცხოვანი წარმომადგენლები და პრესის წარმომადგენლები.

ამხ. აროსევი ელჩის სახით მიესალმა ესპანეთის გმირ ხალხს, რომელიც იბრძვის თავისი თავისუფლებისა და დამოუკიდებლობისათვის. შემდეგ მხურვალე, შთამბეჭდავი სიტყვები წარმოსთქვეს ა. ი. თაიროვმა, აკად. კოლცოვმა და ვ. პ. ჩკალოვმა.

საპასუხო სიტყვაში დოქტორმა მარსელინო პასკუამ მადლობა გადაუხადა საბჭოთა მეცნიერებისა, ხელოვნებისა და საზოგადოებრიობის წარმომადგენლებს ესპანეთის ხალხისადმი გამოთქმული მეგობრული გრძნობებისათვის (საქტაგ).

ტრაქტორები ვადაზე შეკეთდეს

მოსკოვი, 19 ოქტომბერი. სსრ კავშირის მიწათმოქმედების სახალხო კომისარმა ამხ. ჩერნოვმა დაამტკიცა ტრაქტორთა 1936-37 წლების საშემოდგომო-საზამთრო პერიოდის კაპიტალური და საშუალო რემონტის გეგმა და ვადები მტს-ებისა, საბჭოთა მეურნეობებისა და სსრ კავშირის მიწსახკომის სხვა ორგანიზაციებისათვის.

სტალინგრადის, აზოვ-შავიზღვისპირეთის და ჩრდილო-კავკასიის მხარეებში, ყირიმში, აზერბეიჯანში, საქართველოში, სომხეთში, უზბეკისტანში, თურქმენეთის სს რესპუბლიკაში, ტაჯიკისტანში, ყირგიზეთსა და ყარაყალპაკიაში, ალმაატის, სამხრეთ-ყაზახსტანის, ოდესისა და დნეპროპეტროვსკის ოლქებში და მოლდავიის ავტ. სს რესპუბლიკაში ტრაქტორთა რემონტის დამთავრების ვადად დაწესებულია 1937 წლის 20 თებერვალი, დანარჩენ ოლქებში, მხარეებსა და რესპუბლიკებში რემონტის დამთავრების ვადაა 1 მარტი. (საქტაგ)

დოლორეს იბარური (პასიონარია) მიტინგზე
სურათი ამოღებულია „პრავდის" მიერ ფრანგულ ჟურნალ „ვიუდან".

ფაშიზმი უნდა დამარცხდეს!
ამხ. დოლორეს იბარურის სტატია

როცა მთელი ხალხი განიცდის მოვლენებს, რომლებიც დიდად სცილდებიან ყოველდღიური ცხოვრების ჩარჩოებს, თავისთავად ცხადია, საჭიროა მივიღოთ განსაკუთრებული ზომები, ჩამოვიშოროთ გზიდან ყველა დაბრკოლება და ცხოვრების მთელი მიმდინარეობა დავუმორჩილოთ ასეთი საგანგებო მდგომარეობის საჭიროებებს.

ესპანეთი ომის მდგომარეობაში იმყოფება: მთელმა ხალხმა, მამაკაცებმა და ქალებმა უნდა დასძაბონ თავიანთი ძალები — ფიზიკური თუ სულიერი ძალები — რათა მიაღწიონ სამშობლოს გადარჩენას, მიაღწიონ ფაშიზმზე გამარჯვებას ომში, რომელიც ჩვენ არ გვინდოდა. ეს ომი ესპანეთის ხალხს თავზე მოახვიეს და ამიტომ მას სურს დაამთავროს იგი სწრაფად და ძლევამოსილად, რათა გადავიდეს თავისუფალ და მშვიდობიან ცხოვრებაზე.

მადრიდი წარმოადგენს ფაშისტ მეამბოხეთა მთავარ მიზანს: მადრიდი გულია რესპუბლიკისა, ჩვენი სამშობლოსი, რომელიც ხვალ მთლიანად ჩვენს ხელთ იქნება. მადრიდმა თავისი ცხოვრება უნდა შეუთანხმოს მოვლენათა მსვლელობას: იგი უნდა გახდეს ძლიერი, მიუვალი ქალაქი, უძლეველ ძალთა თავმოყრის ადგილი, სწორედ ისე, როგორც ნორმალურ დროს იყო იგი პოლიტიკური და სამეურნეო ცენტრი, ქვეყნის მმართველობის ცენტრი.

აუცილებელია მადრიდის, ისე როგორც მთელი ესპანეთის, მილიტარიზაცია. და როცა მილიტარიზაციაზე ვლაპარაკობ, მხედველობაში მაქვს არა ამ ცნების გარეგნული ნიშნები, სამხედრო ფორმა და უბრალო ყაზარმული ყოფაცხოვრების დანერგვა, არამედ ჩვენი ცხოვრების მთელი არსის, მთელი შინაარსის მილიტარიზაცია. ეს ცნება შეიცავს კეთილსინდისიერებასაც საკუთარ მოვალეობათა შესრულებაში, პასუხისმგებლობის გრძნობით გამსჭვალულ შრომას და, პირველ რიგში, დისციპლინას და ყველა პირადი მოთხოვნილების დამორჩილებას დღევანდელი დღის კოლექტიური საჭიროებებისადმი.

როგორ? — შემეკითხებიან მე — ჩვენ ყველანი ჯარისკაცები უნდა გავხდეთ? დიახ, ჩვენ ყველანი ჯარისკაცები უნდა ვიყოთ, ვინაიდან ჩვენ ყველანი ვართ ნაწილი იმ ხალხისა, რომელსაც თავზე მოახვიეს ომი; ნუ დაგვავიწყდებათ, რომ ეს არის ომი, რომლის შედეგზედაც დამოკიდებულია მშვიდობიანობის, თავისუფლების, პროგრესისა და დემოკრატიის ბედი არა მარტო ჩვენს ქვეყანაში, არამედ მთელს მსოფლიოშიც.

ყოველივე ეს ახალი აზრები როდია. საფრანგეთში უკვე არსებობს რამდენიმე წლის წინათ გამოქვეყნებული კანონი, რომლის თანახმადაც ომის დაწყების შემთხვევაში მთელი მოსახლეობა შეიძლება მობილიზებულ და მილიტარიზებულ იქნას. და თუ იმ ქვეყანაში, რომელიც მშვიდობიან ვითარებაში ცხოვრობს, შეიძლება მიიღონ ასეთი კანონი, რად უნდა შეგვეშინდეს ჩვენ მივიღოთ იგი იმ დღეებში, როცა ჩვენი ქვეყნისაგან ამას მოითხოვენ ომის წარმოების უშუალო ამოცანები? ჩვენ ვფიქრობთ, რომ დადგა დრო, როცა აღარ შეიძლება დაყოვნება და როცა აუცილებელია ზომების მიღება, რათა უზრუნველვყოთ გამარჯვება!

ყველა ამ ღონისძიების შედეგად ჩვენ უდიდეს სარგებლობას მივიღებთ; ჩვენ შემოვიღებთ რაციონალიზაციას საწარმოებში, სადაც შეგნებული მუშები იმდენს საათს იმუშავებენ, რამდენიც საჭირო იქნება და იმუშავებენ მანამდე, ვიდრე არ გამოვალთ ახლანდელი ძნელი მდგომარეობიდან.

მასებს სასწაულის მოხდენა შეუძლიათ, თუ მათ სწორ ხელმძღვანელობას გაუწევენ. მობილიზებულობა, დისციპლინა, საჩვენებელი და მკაცრი ზომები იმათ წინააღმდეგ, ვინც თავის ინტერესებსა და თავის პირად სარგებლობას, თავის ვიწრო ეგოიზმს ხალხის ინტერესებზე მაღლა აყენებს, — აი რა მოგვეთხოვება ახლა ჩვენ ყველას.

უნდა ვისწავლოთ მტრის გამოცნობა ყველგან. იგი იბრძვის სულ სხვადასხვა საშუალებით: იგი ართმევს ხალხს მისთვის ესოდენ საჭირო საკვებ პროდუქტებს; იგი ხელოვნურადადიდებს ამ პროდუქტების ფასებს; იგი აწყობს საბოტაჟს საწარმოებში; იგი ავრცელებს მასებში ყალბ და ცილისმწამებელ ხმებს; იგი ზურგში სტოვებს იმათ, ვინც ფრონტზე არის საჭირო; იგი აკეთებს ყველაფერს, რასაც პირდაპირ თუ არაპირდაპირ შეუძლიან შეარყიოს იმათი ძალა და ენტუზიაზმი, ვინც მზად არის მთლიანად შესწიროს თავისი თავი ფაშიზმზე გამარჯვების საქმეს. ჩვენს ზურგში ჯერ კიდევ ძალიან ბევრია დამალული მტრები, რომლებიც ოსტატურად ინიღბებიან; ჩვენ უნდა ვამხილოთ ისინი, რათა სამუდამოდ მოვუღოთ მათ ბოლო.

მადრიდის დასაცავად! ესპანეთის დასაცავად, თავისუფლების, ჩვენი სიცოცხლის, ჩვენი ვაჟიშვილებისა და ქალიშვილების სიცოცხლის დასაცავად! ვერაფერი ვერ გატეხს ამ ლოზუნგების ძალას! ამ ამოცანის გადაჭრისათვის ჩვენ უნდა გავიღოთ ყველაფერი, სულ უდიდესი მსხვერპლიც კი.

(„მუნდო ობრერო").

გადმობეჭდილია „კომსომოლსკაია პრავდიდან".

◇

გრანდიოზული დემონსტრაცია ალიკანტეში „ნევის" ჩასვლის პატივსაცემად

ლონდონი, 20 ოქტომბერი. რეიტერის სააგენტოს გადმოცემით, ალიკანტეში, იმის გამო, რომ იქ ჩავიდა საბჭოთა თბომავალი „ნევა", რომელმაც საბჭოთა კავშირის მშრომელთა მიერ გაგზავნილი სურსათი ჩაიტანა, გაიმართა გრანდიოზული დემონსტრაცია. დემონსტრაციაში მონაწილეობა მიიღო 25 ათასმა კაცმა. დახურული იყო ყველა ფაბრიკა და სახელოსნო, რათა საშუალება მისცემოდათ მუშებს დემონსტრაციაში მონაწილეობით მადლობა გადაეხადათ სსრ კავშირის ხალხებისათვის გაწეული დახმარების გამო. პროფკავშირთა წარმომადგენლები ავიდნენ „ნევაზე" და მიესალმნენ თბომავლის ეკიპაჟს. (საქტაგ)

◇ ◇ ◇

გერინგი — გერმანიის სამეურნეო დიქტატორი

ბერლინი, 20 ოქტომბერი. ჰიტლერის განკარგულებით, პრუსიის პრემიერს და გერმანიის ავიაციის მინისტრს გერინგს მიენდო სათავეში ჩაუდგეს ფაშისტური პარტიის ნიურნბერგის ყრილობაზე გამოქვეყნებული ეგრეთწოდებული „ოთხწლედის" გატარებას. ამიერიდან ყველა სახელმწიფო დაწესებულებანი და ფაშისტური პარტიის ორგანიზაციები, მათ შორის უმაღლესი სახელმწიფო ორგანოებიც, იმ საკითხებში, რომლებიც ეხება „ოთხწლედის" განხორციელებას, ე. ი. გერმანიის „სამეურნეო დამოუკიდებლობას", ემორჩილებიან გერინგს. ამ განკარგულებას დიდი მნიშვნელობა აქვს, რამდენადაც განსაკუთრებული რწმუნებებით აღჭურვილი გერინგის ხელში თავმოყრილია სახალხო მეურნეობის ყველა გადამწყვეტი დარგის ხელმძღვანელობა. ამითვე ხელმძღვანელი როლი საკვანძო სამეურნეო საკითხებში ეძლევათ სამხედრო წრეებს.

უნდა გავიხსენოთ, რომ გერინგი ჯერ კიდევ აპრილში დაინიშნა ნედლეულისა და ვალუტის განაწილების საკითხების რწმუნებულად. მეურნეობის ყველა გადამწყვეტ დარგში რწმუნებებით აღჭურვილი გერინგი ხდება გერმანიის ფაქტიური სამეურნეო დიქტატორი (საქტაგ).

ვენა, 20 ოქტომბერი. გერინგის დანიშვნას „ოთხწლედის" გატარების ხელმძღვანელად, პოლიტიკურ წრეებში თვლიან იმის მაჩვენებლად, რომ გერმანელმა ფაშისტებმა გადასწყვიტეს დააჩქარონ გერმანიის მთელი მეურნეობის მილიტარიზაცია, აგრეთვე იმის მომასწავებლად, რომ მეტისმეტად გაიზარდა ის სიძნელენი, რომლებიც ეხება იმის მომზადებას ჰიტლერული [illegible]. (საქტაგ).

საქართველოს ეროვნული ბიბლიოთეკა

კონსტიტუციის პროექტის საყოველთაო-სახალხო განხილვა

ქუთაისის რაიონის მშრომელთა შესწორებანი და დამატებანი

სარაიონო საქალაქო და სასოფლო საბჭოები 2 წლის ნაცვლად არჩეულ იქნან 3 წლის ვადით.

ნიორაძე.
ნ. გოდოკია.

○

ჩემი აზრით, სიტყვის თავისუფლება არ უნდა მიეცეთ მღვდლებს და რელიგიური კულტის სხვა მსახურთ, რომელთაც შეეძლებათ მოსახლეობის ჩამორჩენილ ფენებში გასწიონ რელიგიური და სხვა ცრურწმენათა პროპაგანდა.

ელენე ბენიძე.

○

სტალინური კონსტიტუციის პროექტის მე-120 მუხლში არ არის გარკვევით ნათქვამი, რამდენი წლის შრომის სტაჟის შემდეგ ეძლევათ მატერიალური უზრუნველყოფის უფლება. ჩემი აზრით, მატერიალური უზრუნველყოფა უნდა მიეცეთ მათ, რომელთაც 20 წლის შრომის სტაჟი შესრულებიათ.

ვ. აბრამიძე, ქ. ტორაძე.

○

სტალინური კონსტიტუციის მე-132 მუხლში სიტყვა: საყოველთაო სამხედრო ბეგარა, უნდა შეიცვალოს ასე: საყოველთაო სავალდებულო სამსახური.

ვ. ნიორაძე, ქ. ნაჭუაია.

○

ჩვენი აზრით, რელიგიური კულტის მსახურთ არ უნდა მიეცეთ არჩევნებში მონაწილეობის მიღების უფლება.

ტ. სვანიძე, ა. ლომიძე, თ. ალხაზიშვილი, ქ. ზვიადაძე.

○

სტალინური კონსტიტუციის პროექტში შეტანილ იქნას ახალი მუხლი, რომლის ძალითაც სასტიკად დაისჯებიან ის მშობლები, რომელნიც არ ზრუნავენ თავიანთ შვილების მატერიალურ უზრუნველყოფაზე.

ინ. ჯანელიძე.
ზრ. ბარათაშვილი.

○

უნდა დაწესდეს, რომ დეპუტატები ამომრჩევლებს ანგარიშს აბარებდნენ ყოველ 6 თვეში ერთხელ.

ჯიშკარიანი,
დ. გიორგობიანი.

○

ჩვენის აზრით, წითელ არმიაში შესვლის უფლება უნდა მიეცეთ უცხოეთიდან ჩამოსულ იმ პირებსაც, რომელთაც თავიანთი ქვეყანა დასტოვეს და საბჭოთა კავშირის მოქალაქეები გახდნენ.

მ. კაპეტივაძე,
ი. ფესტვენაძე.

○

იმ პირებს, რომელთაც 50 და 60 წელს მიაღწიეს და არ სურთ პენსიაზე გადასვლა, მიეცეთ შრომის განგრძობის უფლება.

ყ. მეგრელიშვილი.

○

საჭიროდ მიგვაჩნია გარკვევით ითქვას მე-120 მუხლში, რომ ქალებს, რომელთაც 25 წლის საწარმოო სტაჟი შეუსრულდებათ, პენსია დაენიშნოთ.

ვ. იაშვილი.

○

სახკომსაბჭოსთან ხელოვნების საქმეთა კომიტეტის შექმნასთან დაკავშირებით საჭიროდ მიგვაჩნია რაიაღმასკომებში ამ ხაზით რწმუნებულების დანიშვნა.

ს. კლდიაშვილი.
სახელაშვილი.

ტფილისის თამბაქოს ფაბრიკის პარტკომის მდივანი ამხ. ოლღა კიდაიში მუშა-ქალებს ესაუბრება სტალინური კონსტიტუციის პროექტის საკითხებზე. ფოტო რ. აკოფოვის

ჩვენი მზადება

ნ. გეგია

სამტრედიის რაიაღმასკომის თავმჯდომარე

ჩვენი რაიონის მშრომელები გულმოდგინედ ემზადებიან საბჭოების მერვე ისტორიული ყრილობისათვის. გამარჯვებული სოციალიზმის სტალინური კონსტიტუციის პროექტს მშრომელნი გულდასმით იხილავენ და სწავლობენ ფაბრიკა-ქარხნებში, საწარმო-დაწესებულებებსა და კოლმეურნეობებში.

რაიაღმასკომმა ცალკეულ საბჭოებსა და კოლმეურნეობებს რაიონული აქტივიდან მიამაგრა პასუხისმგებელი ამხანაგები კონსტიტუციის პროექტის გასახილველად. პროექტის განხილვას დიდი ენტუზიაზმით შეხვდნენ საქალაქო და სასოფლო საბჭოების პლენუმები, ფაბრიკა-ქარხნის მუშები და კოლმეურნენი.

სტალინური კონსტიტუციის პროექტი განხილულ იქნა ქარხნებში, ფაბრიკებში, ყველა საარჩევნო უბანში და კოლმეურნეობათა საერთო კრებებზე. სულ მოეწყო 85 კრება, რომლებსაც დაესწრო 17.867 მშრომელი — მოსახლეობის 84,3 პროცენტი. სიტყვებით გამოვიდა 581 მშრომელი. შემოვიდა 391 შეკითხვა და შემოტანილ იქნა 10 წინადადება.

ახალი კონსტიტუციის პროექტი განხილულ იქნა აგრეთვე სექციებისა და სადეპუტატო ჯგუფების 105 სხდომაზე, რომლებსაც დაესწრო 987 ამხანაგი, რაც შეადგენს 96,5 პროცენტს. კონსტიტუციის პროექტის განხილვას დაუკავშირდა საბჭოების განაწესის შესრულებაში დეპუტატთა ავანგარდული როლის უზრუნველყოფის საკითხი და სხვ.

კოლმეურნეობების თავმჯდომარეებმა, ბრიგადირებმა, ფერმის გამგეებმა და მომწველელებმა იკისრეს ვალდებულებები მეცხოველეობის დარგში გეგმების ხარისხოვნად და გადაჭარბებით შესრულებისათვის. მაგალითად, გომნატეხების კახიანის სახელობის კოლმეურნეობის თავმჯდომარემ ამხ. გაბედავამ, ფერმის გამგემ ამხ. ჩხაიძემ, მომწველელებმა კაკი შენგელიამ და ფილიმონ მეგნეიშვილმა იკისრეს ვალდებულება 1935 წლის გეგმასთან შედარებით 1936 წელს ღორების რაოდენობა გაზარდონ 400 პროცენტით, მსხვილფეხა რქოსანი პირუტყვისა კი 106 პროცენტით. ჯიხაიშის კოლმეურნეობა „წითელი ოქტომბრის" თავმჯდომარე დავით სახოძემ, ფერმის გამგე მაქსიმე გეგეჩაძემ, მომწველელებმა: მიხეილ და ნიკოლოზ ვაშაკიძეებმა აიღეს ვალდებულება გაზარდონ ღორის სულადობა 300 პროცენტით, მსხვილფეხა რქოსანი პირუტყვისა — 110 პროცენტით. ჭაგნის კოლმეურნეობა „წითელი ოქტომბრის" თავმჯდომარე გრიშა ზაქარიაძემ, ფერმის გამგე ილარიონ გულედავამ, მომწველელებმა კოწია ტყეთაიამ, ივანე ხვიჩიამ და ათანასე გეგეშიძემ აიღეს ვალდებულება გაზარდონ ღორის სულადობა 160 პროცენტით, მსხვილფეხა რქოსანი პირუტყვისა — 115 პროცენტით და სხვ.

წარმოების მუშებმა ცალკე აიღეს ვალდებულებანი. თავსადების ქარხნის სტახანოველმა მუშებმა იკისრეს — ძაფის ამოღების გეგმა შეასრულონ 105-დან 109 პროცენტამდე, ხარისხის მხრივ კი 120 და მეტი პროცენტით. ეს დავალება მათ უკვე შეასრულეს. მაგალითად, შურა ნარჩემაშვილმა ძაფის ამოღების გეგმა 106 პროცენტით შეასრულა და ხარისხი დაიცვა 150 პროცენტით, ფიდოსი სტურუამ გეგმა — 104 პროცენტით, ხარისხი 120,9-ით.

აღფრთოვანებული გამოხმაურება ჰპოვა ინდივიდუალურ ვალდებულებათა აღებამ სოფლის მეურნეობაში. მაგალითად, დაფნარის კოლმეურნეობის სტახანოველმა ბრიგადირმა სანდრო ჯაშმა, რომელსაც გამომუშავებული აქვს 161 შრომადღე, ზედაბაშის ქართველიშვილის სახელობის კოლმეურნეობის ბრიგადირმა ვლადიმერ გერძემ (231 შრომადღე), ქვედაბაშის რემედასის სახელობის კოლმეურნეობის ბრიგადირმა ფილიპე კაშიამ (221 შრომადღე) და სხვებმა იკისრეს ვალდებულება უდანაკარგოდ აიღონ და 1935 წელთან შედარებით 20-დან 30-მდე პროცენტით გაადიდონ მოსავალი.

ახალი კონსტიტუციის პროექტის განხილვასთან დაკავშირებით კოლმეურნეობებში გაიზარდა სტახანოველთა რიცხვი 420-დან 612-მდე, საგრძნობლად გაუმჯობესდა სასოფლო საბჭოების ორგანიზაციულ-მასობრივი მუშაობა (ქალაქის საბჭო, ბაში, იანეთი, ჯიხაიში და სხვ.).

სრულიად-საქართველოს ცენტრალური აღმასრულებელი კომიტეტის დადგენილების საფუძველზე საქალაქო და სასოფლო საბჭოების საანგარიშო კამპანიისა და სარაიონო საბჭოების ყრილობის ჩატარების შესახებ, რაიაღმასკომის პრეზიდიუმმა დროულად მიიღო სათანადო ღონისძიებანი, საბჭოების ანგარიშების უკეთ ჩასატარებლად ადგილებს რაიონული აქტივიდან მიამაგრა პასუხისმგებელი მუშაკები.

საანგარიშო კამპანიის წარმატებით ჩასატარებლად წინასწარ შევარჩიეთ ბინები საანგარიშო კრებებისათვის, მოვაწყეთ საუბრები, გამოვეცით სასოფლო და საკოლმეურნეო კედლის გაზეთების სპეციალური ნომრები, გამოვაკარით ლოზუნგები, პლაკატები და სხვა. მოვაწყეთ აგრეთვე წინასწარი შემოწმება, თუ როგორ შეასრულეს დეპუტატებმა ამომრჩეველთა მიერ მიცემული განაწესი და რამდენად ჩანს საბჭოს წევრთა ავანგარდული როლი.

ცალკეული საბჭოების საარჩევნო უბნების მიხედვით შევადგინეთ საანგარიშო კრებების მოწვევის კალენდარული გეგმა.

25 ოქტომბრამდე ჩატარდება საქალაქო და სასოფლო საბჭოების პლენუმები, ხოლო პირველ ნოემბერს შედგება საბჭოების მეოთხე სარაიონო ყრილობა. საქალაქო და სასოფლო საბჭოების ანგარიშებმა უნდა უზრუნველყოს საბჭოების მუშაობის შემდგომი გარდაქმნა-გაძლიერება.

საბჭოების მუშაობას ამოწმებენ

საბჭოების მერვე ყრილობის მზადებასთან დაკავშირებით ხაშურის რაიონში საბჭოების ანგარიშგება უკვე დაიწყო.

ამომრჩევლები დიდ აქტივობას იჩენენ, ამჟღავნებენ დეფექტებს ცალკეული დეპუტატების უმოქმედობას, აყენებენ ახალ წინადადებებს შემდგომი მუშაობის გასაუმჯობესებლად და სხვ.

საანგარიშო კრებებზე იხილავენ სტალინური კონსტიტუციის პროექტს. ამომრჩევლები ერთსულოვნად იწონებენ კონსტიტუციას და შემოაქვთ თავიანთი წინადადებები და შესწორებანი, დღემდე სულ შემოტანილია 30 წინადადება.

კრებებზე ამომრჩეველთა დასწრება 80—90 პროცენტს უდრის. მაგალითად, სურამის პირველ უბანში დაესწრო ამომრჩეველთა 83 პროცენტი, მეორე უბანში—90 პროცენტი, ველევის სასოფლო საბჭოს საანგარიშო კრებას ამომრჩეველთა 98 პროცენტი დაესწრო. კამათში გამოსული კოლმეურნეები აღნიშნავდნენ, რომ საბჭო განაწესის შესრულებას, გზებისა და ხიდბოგირების შეკეთებას ჯეროვან ყურადღებას ვერ აქცევდა.

სოფელ გულიკაანთუბნის ამომრჩევლებმა უკან გაიწვიეს დეპუტატი გიგო გულიკაშვილი, რომელიც არ უფრთხილდებოდა საკოლმეურნეო ქონებას, მის მაგიერ დეპუტატად აირჩიეს სტახანოველი კოლმეურნე გიორგი გულიკაშვილი.

ამომრჩევლები დიდ აქტივობას იჩენენ გომის სასოფლო საბჭოს მუშაობის განხილვაში. გამოსულმა ამომრჩევლებმა საბჭოს კულტურული საქმიანობის დარგში მუშაობა დაუწუნეს. სასოფლო საბჭოს თავმჯდომარემ შ. გოგიჩაიშვილმა კლუბი საწყობად გადააქცია.

საანგარიშო კრებები ასევე აქტიურად ტარდება: ზემოხვედრეთის, აბანოს, დირბის და სხვა სასოფლო საბჭოებში. ამომრჩეველთა დასწრება აქაც 90—95 პროცენტს უდრის.

საბჭოების ყრილობის მოახლოვებასთან დაკავშირებით გაიზარდა საწარმოო ენთუზიაზმი. მაგალითად, ქვიშხეთის სასოფლო საბჭოში აგვისტოს თვემდე 9 სტახანოველი ითვლებოდა, ამჟამად კი 28 არის. ამხ. ლ. ბერიას სახელობის შაქრის ქარხანას აქამდე 5 სტახანოველი ჰყავდა, ამჟამად კი 60 ჰყავს. ქარხანა ჭარხლის გადამუშავებისა და შაქრის მიღების გეგმას გადაჭარბებით ასრულებს.

ზოგიერთ სასოფლო საბჭოში კი მდგომარეობა ცუდია. მოსამზადებელი მუშაობა თავის დროზე არ გაუშლიათ და კრებები ხშირად იშლება. მაგალითად, სოფელ გვერძნეთის საანგარიშო კრებას არც ერთი ქალი არ დაესწრო. მიუხედავად ამისა, საბჭომ კრება კანონიერად მიიჩნია.

საჭიროა სასოფლო საბჭოებმა მუშაობა გააცხოველონ და საბჭოების ყრილობას ახალი გამარჯვებით შეხვდნენ.

ტ. გოზალოვი.

მოეხსნას ბლოკადა რესპუბლიკურ ესპანეთს

ბრიუსელი, 20 ოქტომბერი. ბრიუსელის სახალხო სახლში [illegible] (პარლამენტის სოციალისტი დეპუტატი) თავმჯდომარეობით შედგა მიტინგი, რომელსაც 2 ათასი კაცი დაესწრო. მიტინგზე გამოვიდნენ იზაბელა ბლიუმი, მარტო და სხვ. მიღებულ იქნა რეზოლუცია, რომელიც კატეგორიულად მოითხოვს ესპანეთის საქმეებში ჩაურევლობის შესახებ დადებულ ხელშეკრულებაზე უარის თქმას და ბლოკადის მოხსნას რესპუბლიკური ესპანეთისაგან.

[illegible] ჩაურევლობის საკითხთა ლონდონის კომიტეტში და „იზვესტიას" სტატიას — „ჩაურევლობის ფარსის წინააღმდეგ" — [illegible] სტატიას უწოდებს. გაზეთი სწერს, რომ ლონდონის კომიტეტს უნდა ეღიარებინა ჩაურევლობის პოლიტიკის მარცხი და რესპუბლიკური ესპანეთის უფლება იარაღის შესყიდვაზე. (საქტს)

ესპანეთის საქმეებში ჩაურევლობის კომიტეტის სხდომის მოწვევისათვის

ლონდონი, 20 ოქტომბერი. „დეილი ჰერალდის" ცნობით, ჩაურევლობის საკითხთა კომიტეტის სხდომა ამ კვირაში, ალბათ, არ შესდგება. 16 ოქტომბერს ეტლისთან (თემთა პალატის ლეიბორისტული ფრაქციის ლიდერი) საუბარში იდენმა აღნიშნა, რომ კომიტეტის სხდომის მოწვევა შესაძლო გახდება, როგორც კი მიღებული იქნება პორტუგალიისა, იტალიისა და გერმანიის მთავრობათა პასუხი. შემდეგ გაზეთი სწერს: „9 დღე გავიდა იმ მომენტიდან, რაც ამ მთავრობებს მიმართეს თხოვნით — ეცნობებინათ თავიანთი წინადადებანი, მაგრამ აქამდე არ არის ნიშანი რომელიმე ქვეყნიდან პასუხის მიღებისა. ჩვენ მიერ მიღებული ცნობებით, ლორდ პლიმუტი სრულებითაც არ ცდილობ დაეჩქარებინა ამ პასუხის მიღება. აშკარაა, რომ პორტუგალია, იტალია და გერმანია აჭიანურებენ პასუხს საბჭოთა მთავრობის განცხადებაზე, რათა დრო მოიგონ. ჩანს, მათ სურთ, რაც შეიძლება დააყოვნონ პასუხი". (საქტს)

◇ ◇ ◇

ლათინური ამერიკის წარმომადგენელთა თათბირი

ნიუ-იორკი, 20 ოქტომბერი. „ნიუ-იორკ ტაიმსი" ბუენოს-აირესიდან (არგენტინის დედაქალაქი) იუწყება, რომ არგენტინის საგარეო საქმეთა სამინისტროში შესდგა ლათინური ამერიკის 14 ქვეყნის მთავრობათა წარმომადგენლების თათბირი. ამ თათბირზე არგენტინის საგარეო საქმეთა სამინისტროს წარმომადგენელი მოუწოდებდა ერთად გამოსვლისათვის იმ მიზნით, რომ მოეთხოვათ ესპანეთის მთავრობისათვის ნებართვა, რათა გამოიყვანონ რამდენიმე ასეული ესპანელი ფაშისტი, რომელნიც ამჟამად მადრიდში ლათინური ამერიკის ქვეყნების საელჩოთა შენობებში იმალებიან. ჩილესა და ურუგვაის წარმომადგენლებმა აღუთქვეს მხარი დაუჭირონ არგენტინის წარმომადგენლის მოთხოვნას და ინსტრუქციები გამოითხოვეს თავისი მთავრობებისაგან.

„ასოშიეიტიდ პრესის" სააგენტოს ცნობით, იმავე თათბირზე განიხილეს ესპანეთის მთავრობის პროტესტები იმის წინააღმდეგ, რომ ამ ქვეყნების საელჩოები მადრიდში ბოროტად იყენებენ თავის პრივილეგიებს და თავშესაფარს აძლევენ ესპანელ ფაშისტებს. სააგენტოს სიტყვით, ესპანეთის მთავრობის პროტესტი ნაწილობრივ იმ ცნობებს ემყარება, რომ არგენტინის საელჩო მადრიდში მალავდა ესპანელ ფაშისტებს, რომელნიც შემდეგ მადრიდიდან გაიქცნენ ფაშისტ მეამბოხეებთან.

არსებული ცნობებით, არგენტინის საგარეო საქმეთა მინისტრი ამჟამად იმყოფება პარიზში, სადაც ღებულობს ზომებს, რომ თვითმფრინავებით ევაკუაცია უყოს დამალულ ესპანელ ფაშისტებს, როდესაც ნებართვა იქნება მიღებული ესპანეთის მთავრობისაგან.

ბუენოს-აირესიდან მიღებული დეპეშის თანახმად, ლათინური ამერიკის ქვეყნების მადრიდის რამდენიმე დიპლომატიურმა მისიამ შეიძინა იარაღი თავის შენობებში დამალულ ესპანელ ფაშისტთა დასაცავად (საქტს).

◇

მამაცი მეთევზეები

10 დღე ზღვაში უსმელ-უჭმელად

ვლადივოსტოკი, 19 ოქტომბერი. მოტორიანი კავასაკი [1]), რომელიც ზარუბინოს (სამხრეთი პრიმორიე) თევზის კომბინატს ეკუთვნოდა, 2 ოქტომბერს გავიდა თევზის საჭერად. ზღვა მშვიდი იყო. მეთევზეებმა ჩაუშვეს ბადე და ელოდნენ.

დილის 5 საათზე ბრიგადირმა ჩიდოევმა ებრძანა, მოტორისტ სოლიაროვს აემუშავებინა მოტორი, რათა შესდგომოდნენ ბადის ამოწევას, მაგრამ გამოირკვა, რომ მაგნეტო დაზიანებულიყო. მოტორის ამუშავების ცდა რამდენიმე საათს გაგრძელდა. მეთევზეებმა დახარჯეს ბენზინის მთელი მარაგი, მაგრამ მოტორი მაინც ვერ აამუშავეს. შველა არსაიდან იყო მოსალოდნელი.

საღამოს 10 საათზე ამოვარდა ძლიერი ქარიშხალი. ქარიშხალმა კავასაკი მოსწყვიტა ბადეებს და ღრმად ზღვაში გაიტაცა. დიდმა ტალღამ ხომალდის ბორტიდან ზღვაში გადააგდო ავზი სასმელი წყლით. ხომალდი ძლიერ ირწეოდა და შიგ წყალი ჩადიოდა. მეთევზეები მამაცად ებრძოდნენ მძვინვარე სტიქიას.

პირველ 5 დღეს ისინი ისევ გარკვევით ხედავდნენ ნაპირს. მაგრამ მეექვსე დღეს დაჰკარგეს ყოველგვარი გზაკვალი.

საჭმელად დაიწყნეს, ალღრძოთ წყურვილი. სვამდნენ ზღვის წყალს, რომელიც ცოტა [illegible]. ახალი და პაპიროსი დასველდა, ძალმოკლებული გახდნენ გადაღლით.

— ჩვენი ხეტიალის მეშვიდე დღეს, — ლაპარაკობს ბრიგადირი ალექსანდრე დიმიტრის-ძე ჩიდოევი, — განსაცდელში მყოფი კავასაკიდან 200 მეტრის მანძილზე გამოჩნდა უცხოეთის გემი. ჩვენ ვთხოვეთ დახმარება. გემი უახლოვდებოდა, მაგრამ გულგრილად ჩაგვიარა. გვხედავდნენ ბარკასის მეზღვაურები, რომლებიც კამბალას იჭერდნენ, მაგრამ არც მათ გვიპასუხეს ჩვენს თხოვნაზე. ერთხელ დილას იაპონიის შხუნამ სულ 4 მეტრზე გვეცურა. ვთხოვეთ ცოტა სასმელი წყალი, რადგან ვიხოცებოდით წყურვილით, მაგრამ მათ არც კი გვიპასუხეს.

მოვიკრიფეთ უკანასკნელი ძალღონე, საბნებიდან იალქანი გავაკეთეთ და 11 ოქტომბერს ღამით, ჩვენი ხეტიალის მეათე დღეს, მივუახლოვდით ნაპირს. დავინახეთ ჯამოვის კონცხის შუქურა. 12 ოქტომბერს დილით აშკარა გახდა, რომ კავასაკს მოელის ნაპირის კლდეებზე დამსხვრევის საფრთხე. ტალღები ხომალდზე გადადიოდნენ.

დადგა სიცოცხლისათვის ბრძოლის გადამწყვეტი მომენტი. ვესროლეთ ნაპირს გრძელი ბაგირის ბოლო და იგი კლდეს მიედო. მე პირველმა ვცადე ამ ბაგირით გადასვლა. მაგრამ ცუდად დამაგრებულმა ბაგირმა ვერ გამიძლო: ათმეტრის სიმაღლიდან ჩავარდი აბობოქრებულ ზღვაში. ამხანაგებმა გადამარჩინეს. ბოლოს მეთევზე ნევდაჩინმა შეარჩია მარჯვე მომენტი და გადახტა კლდიან ფლატეზე. მან დიდი წვალებით დაამაგრა ბაგირის ბოლო და ნაპირზე გამოვედით.

ექვს მეთევზეს, რომელნიც განსაცდელში იმყოფებოდნენ კავასაკზე, გადარჩა ხუთი. მეთევზე ათანასე არბუზოვი დაუძლურდა და გარდაიცვალა. მისი გვამი ჩაიძირა ხომალდთან ერთად, რომელიც ნაპირის კლდეებზე დაიმსხვრა.

ნაპირზე გამოსულ მეთევზეებს გულთბილად შეხვდნენ შუქურის მცხოვრებნი. რამდენიმე ხნის შემდეგ მოვიდა ექიმი და მეთევზეებს დახმარება აღმოუჩინა. ისინი თანდათან მოჯანსაღდნენ და ახლა თავს მხნედ გრძნობენ („პრავდის" კორესპ.).

ი. სტანევსკი

---

[1]) კავასაკი—თევზსაჭერი ხომალდი.

◇

თესვაში ისევ გარღვევაა

(ხაშური. ტელეფონით ჩვენი სპეც. კორ.)

რაიონს საშემოდგომო კულტურების თესვის გეგმა 15 ოქტომბრისათვის შესრულებული ჰქონდა 28,7 პროცენტით. დათესილია 5.525 ჰექტარი.

ხვნა-თესვის ტემპები აშკარად არადამაკმაყოფილებელია. ღარითის, ლუდის, იმერხევის და ლვერძნების სასოფლო საბჭოებში ჯერაც არ შესდგომიან თესვას.

ხვნა-თესვას ყურადღება არ ექცევა ერთპიროვნულ მეურნეობებში. 15 ოქტომბრისათვის ერთპიროვნულ მეურნეობებს თესვის გეგმა შესრულებული ჰქონდათ 4,5 პროცენტით, მშრალად ხვნისა — 12 პროცენტით.

რაიონში არსებულ 33 სასოფლო საბჭოდან 15 ოქტომბრისათვის 29 სასოფლო საბჭოს ერთპიროვნულ მეურნეობებს თესვა დაწყებული არ ჰქონდათ, მშრალად ხვნა კი დაწყებული არა ჰქონდათ 27 საბჭოს ერთპიროვნულ მეურნეობებს. ლუდერის, ცხერის და ცხრაძმის სოფლის საბჭოების თესვის გეგმის შესრულება არ აღემატება 6 პროცენტს.

მთელ რიგ კოლმეურნეობათა ხელმძღვანელნი თესვისადმი უსულგულო დამოკიდებულებას იჩენენ. სოფ. მერხევის კიროვის სახ. კოლმეურნეობის თავმჯდომარე ბეგლოშვილი აცხადებს:

— ჯერ თესვა ადრეა, იმ კვირას შევუდგებით.

ამ კოლმეურნეობაში 17 ოქტომბრისაც კი თესვა დაწყებული არ ჰქონდათ. 24 უღელი ხარი მომცდარია.

რაიონის მთელ რიგ კოლმეურნეობებში ჯერაც არ დაუმთავრებიათ სათესლე მასალის დახარისხება და შეწამვლა. ყურადღება არ ექცევა თესვის ხარისხს. სოფ. ვაყის კოლმეურნეობაში 12 ჰექტარზე უვარგისი თესლი დათესეს.

დადგა თესვის გადამწყვეტი დღეები. თვითეული დღე ძვირფასია, მაგრამ, როგორც ჩანს, ხაშურის რაიონის მთელი რიგი კოლმეურნეობანი და თვით რაიმიწგანი ამას მწვავედ არ გრძნობენ.

დ. ქუჩულორია

აფხაზეთის ცაკის თავმჯდომარის მოადგილე

საკოლმეურნეო მშენებლობა აფხაზეთში

> სასოფლო-სამეურნეო არტელის სტალინური წესდების განუხრელად განხორციელებით ჩვენ უნდა მივაღწიოთ, რომ თვითეული ჩვენი კოლმეურნეობა იყოს მტკიცე, მძლავრი, მდიდარი კოლმეურნეობა, რომ საქართველოს თვითეული კოლმეურნე ცხოვრობდეს შეძლებულად და კულტურულად.
>
> **ლ. ბერია**

უკანასკნელი 4-5 წლის განმავლობაში საქართველოს ბოლშევიკებმა საქ. კ.პ. (ბ) ც. კ-ის და მისი მებრძოლი წინამძღოლის, საუკეთესო სტალინელის ამხ. ლავრენტი ბერიას ხელმძღვანელობით უდიდეს წარმატებებს მიაღწიეს სოფლის მეურნეობის ყველა დარგში. კოლმეურნეობანი გახდნენ ჩაის, ციტრუსების, მარცვლეულის ძირითადი მწარმოებლები.

აფხაზეთშიც, რომელიც საბჭოთა საქართველოს განუყრელ ნაწილს წარმოადგენს, აგრეთვე მოპოვებულია დიდი გამარჯვებანი სოფლის მეურნეობაში.

უკანასკნელი 8 წლის განმავლობაში კაპიტალდაბანდებანი აფხაზეთის სოფლის მეურნეობაში 51 მილიონ მანეთზე მეტს უდრის. გლეხურ მეურნეობათა 72 პროცენტზე მეტი გაერთიანებულია კოლმეურნეობებში, რომლებიც შეიარაღებული არიან სასოფლო-სამეურნეო მანქანებით.

გარდა სიმინდისა, რომლის ნათესებიც წელს 46.231 ჰექტარს უდრის, ნაცვლად 36.368 ჰექტარისა 1917 წელს და 39.317 ჰექტარისა 1928-29 წლებში, ინტენსიურად ვითარდება მეთამბაქოეობა და ინერგება ახალი ძვირფასი კულტურები.

თავიანთი ხარისხის მხრივ კვლავ მსოფლიოში უბადლოა ოქროსფერი თამბაქო „ტრაპიზონი" და „სამსუნი", რომლებითაც განთქმულია აფხაზეთი. ამ თამბაქოდან საბჭოთა კავშირის თამბაქოს ფაბრიკები ამზადებენ საუკეთესო ხარისხის პაპიროსებს საშინაო ბაზრისათვის და საექსპორტოდ.

შარშან აფხაზეთმა სახელმწიფოს 7.000 ტონა თამბაქო მისცა.

აფხაზეთი წარმოადგენს სამრეწველო სუბტროპიკული მიწათმოქმედების უდიდეს რაიონს, რომელსაც შეუძლია უდიდესი ოდენობით განავითაროს ისეთი კულტურები, როგორიცაა: ჩაი, ლიმონი, მანდარინი, ფორთოხალი, გრეიფრუტი, ზეთისხილი, ეთეროვანი კულტურები, თუთის ხე, ევკალიპტი და სხვ.

თუ 1935 წელს აფხაზეთის ჩაის პლანტაციებმა 1.000 ტონა ჩაის მწვანე ფოთოლი მოგვცეს, წელს ჩაის მოსავალი 1.300 ტონას შეადგენს.

საბჭოთა ხელისუფლების წლები — ეს სუბტროპიკთა აყვავების წლებია.

ჭრელ და მრავალფეროვან ხალიჩად გადაშლილან ვენახისა და ხილის ბაღები.

აფხაზეთში ახალი სამშობლო იპოვეს ტუნგომ, გერანმა, ევკალიპტებმა და სხვ. პარფიუმერიის, საპნის, კვების, ლიქიორისა და არყის, ფარმაცევტულ მრეწველობას არ შეუძლიათ იმუშაონ ისე, თუ არ ექნათ ეთეროვანი ზეთი, რომელსაც გერანი იძლევა. 1935 წელს აფხაზეთმა მოგვცა გერანის 16 ტონაზე მეტი ეთეროვანი ზეთი. ტუნგო იძლევა ისეთ ზეთს, რომელსაც მოეპოვება წყალგაუმტარი და საიზოლაციო თვისება. იგი საჭიროა მაღალხარისხოვანი ლაქის დასამზადებლად, ელექტრომრეწველობაში, კაბელის ქარხნებში, ტურბო-ჰიდროგენერატორების, ტრამვაის, გემების და საავიაციო მოტორების, რადიომანქანების, რეზინისა და ტექნიკური ქსოვილების წარმოებაში. ტუნგოს 210 ჰექტარი უჭირავს.

სუბტროპიკული მიწათმოქმედების მსხვილ საწარმოებს წარმოადგენენ საბჭოთა მეურნეობანი. 21 საბჭოთა მეურნეობა კულტურების მიხედვით შემდეგნაირად ნაწილდება: ჩაის მეურნეობა — 2, ტუნგოს მეურნეობა — 1, გუტაპერჩის — 1, გერანის — 2, ციტრუსების — 5, ხილისა და ბოსტნეულის — 9, დეკორატიული კულტურების — 1.

ბოლშევიკთა უნარიანი ხელის მეოხებით გამოცოცხლდნენ ასწლობით მთვლემარე ბუნებრივი ძალები. აფხაზეთი ნამდვილ საბჭოთა ედემად ხდება.

მეცხოველეობის მეურნეობა მტკიცე ნაბიჯით მიიწევს წინ. საძოვრებსა და ალპიურ კორდებზე ბალახით დაპურებული პირუტყვის ჯოგები. მიმდინარე წლის 1 იანვრისათვის მსხვილფეხა რქიანი პირუტყვის სულადობა (კამეჩების გამოკლებით) უდრის 170.232 სულს, ანუ 13.7 პროცენტით მეტია, ვიდრე 1935 წელს.

სასოფლო-სამეურნეო არტელის სტალინურმა წესდებამ საფუძველი ჩაუყარა კოლმეურნეთა ინდივიდუალური მეცხოველეობის ფართოდ განვითარებას. მეცხოველეობა, ისე როგორც მეთამბაქოეობა, ჩაის, ციტრუსების და სხვა კულტურები, კოლმეურნეთა კეთილდღეობისა და შეძლებულობის წყაროდ გადაიქცნენ.

ცოცხლად გამოიყურებიან ახლა ორდენოსანი აფხაზეთის საკოლმეურნეო მინდვრები. ციტრუსების საბჭოთა მეურნეობებში, კოლმეურნეობებში, ბაღებში მწიფდება მანდარინის, ფორთოხლის, ლიმონის მილიონობით ნაყოფი, ყურძენი — საბჭოთა კავშირის ტენიანი სუბტროპიკების უხვი საჩუქარი.

ციტრუსების მოსავლის აღებამდე ცოტა დრო დარჩა. წელს აფხაზეთმა საორიენტაციო გამოანგარიშებით სახელმწიფოს დაახლოებით ციტრუსების 17 მილიონი ნაყოფი უნდა ჩააბაროს.

მიუხედავად ზოგიერთი სკეპტიკოსის წინასწარმეტყველებისა, რომ 1936 წელი მოუსავლიანი წელიწადი იქნებოდა, მოსავალი კარგია. აქ გამოჩნდა შეუპოვარი, დაძაბული მუშაობა ჩვენი კოლმეურნეებისა და მშრომელი ერთპიროვნული მეურნეებისა. 17 მილიონი ციტრუსოვანი ნაყოფი, 7.200 ტონა ნედლი თამბაქო, 5.914 ტონა ყურძენი, 7.400 ტონა ხილი, 20.000 კილოგრამი გერანის ძვირფასი ზეთი, 1.300 ტონა ჩაი და მთელი რიგი სხვა ძვირფასი კულტურები უნდა მოგვცეს ორდენოსანმა აფხაზეთმა 1936 წელს.

ამხ. ლავრენტი ბერიას მოხსენებამ საქართველოს კ. პ. (ბ) ც. კ-ის V პლენუმზე აფხაზეთის კოლმეურნეთა აქტივობის ახალი აღმავლობა გამოიწვია.

ამხ. ბერიას მითითებათა რეალიზაციისათვის ჩვენ ამოცანად დავისახეთ კონკრეტულად შევისწავლოთ თვითეული საბჭოთა უბნის ვითარება, გამოვიტანოთ საჭირო დასკვნები და მივიღოთ კონკრეტული ღონისძიებანი სასოფლო-სამეურნეო არტელის წესდების არსებულ დარღვევათა და სხვა ნაკლთა გამოსასწორებლად კოლმეურნეობებში.

როგორია ამ მიმართულებით შესრულებული მუშაობის წინასწარი შედეგები?

პირველ რიგში უნდა აღინიშნოს ღრმა, ყოველმხრივი შესწავლა და განხილვა მოხსენებისა ყველა კოლმეურნეობაში. სულ რესპუბლიკაში 433 კოლმეურნეობაა. თვითეულ კოლმეურნეობაში მუშაობდა პასუხისმგებელი მუშაკი, რომელსაც კარგი წინასწარი ინსტრუქტაჟი ჰქონდა გავლილი. ამ მუშაკებმა არა მარტო განმარტეს მოხსენება, არამედ დაწვრილებითაც შეისწავლეს მეურნეობა და ადგილობრივ ასწორებდნენ ნაკლოვანებებს.

აფხაზეთის მთელ რიგ კოლმეურნეობებში გამოვლინებულ იქნა სერიოზული ნაკლოვანებანი სტალინური წესდების — საკოლმეურნეო ცხოვრების ამ ურყევი კანონის — განხორციელების საქმეში.

მაგალითად, ოჩემჩირის რაიონის მერხეულის სოფლსაბჭოს კოლმეურნეობა „აბჟიაბაბარაში" ზოგიერთ კოლმეურნეს ჰქონდა საკარმიდამო მიწა წესდებით გათვალისწინებულ ნორმაზე მეტი. კოლმეურნე კეტო ხურცბანს ჰქონდა ნორმაზე მეტი 1,5 ჰექტარი, დონატ კვეკვესკირს — 1,3 ჰექტარი.

გუდაუთის რაიონის კოლმეურნეობა „აბჟიდკვილარაში" არ დაუზუსტებიათ საკარმიდამო ნაკვეთების საზღვრები; ამის შედეგად ცალკეულმა კოლმეურნეებმა თავისთვის ინდივიდუალური წესით დასთესეს საკოლმეურნეო განსაზოგადოებული მიწები. კოლმეურნე ივანე ოსიამ ამ წესით დათესა 0,3 ჰექტარი, ნიკო ოსიამ — 0,3 ჰექტარი, შირომ აგრბამ 0,5 და სხვ.

ოჩემჩირის რაიონის კოლმეურნეობა „აგუაში" კოლმეურნეებმა ბიგვავამ და ლოგუამ არ განასაზოგადოვეს მეორე-მეორე უღელი ხარი. გადამალეს და არ განასაზოგადოვეს მუშა-საქონელი გუდაუთის რაიონის კოლმეურნეობა „აპსნი-კაპშის" ზოგიერთმა კოლმეურნემაც, მაგალითად ა. ქუტელიამ და კ. ლადარიამ.

მთელ რიგ კოლმეურნეობებში არის შემთხვევები საკოლმეურნეო დემოკრატიის დარღვევისა. მაგალითად, ოჩემჩირის რაიონის კოლმეურნეობა „კრასნი ტანში" და „აძიურხუში" რამდენიმე მეურნეობა მიღებული იყო კოლმეურნეობის წევრად ისე, რომ საერთო კრებას არ დაუმტკიცებია. კოლმეურნეობებში „ანაურხუში", „ბოლშევიკში" და „აპსნი-კაპშში" აგრეთვე საერთო კრების დაუდასტურებლად გარიცხეს წევრები კოლმეურნეობიდან. გუდაუთის რაიონის ლაკობას სახელობის კოლმეურნეობაში კოლმეურნეობის გამგეობამ საერთო კრების მოუწვევლად აირჩია სარევიზიო კომისიის წევრები და კოოპტაციის წესით შეიყვანა გამგეობაში ახალი წევრები.

კოლმეურნეობა „ჯირგულში" საერთო კრებამ წინადადება მისცა კოლმეურნე რეშიდ ზუკბას გამოსულიყო კოლმეურნეობიდან მოხუცებულობის გამო, ამასთანავე მას დაუბრუნეს მთელი მისი განსაზოგადოებული საწარმოო საშუალებანი და მიწა.

ხშირია შემთხვევები საერთო კრების მიერ დამტკიცებული ხარჯთაღრიცხვებით გათვალისწინებული ხარჯების გადამეტებისა (კოლმეურნეობანი: „აპსნი-კაპში", „კიმი", ვოროშილოვის სახელობისა, „ჯალაპიუ" და სხვ.).

ასეთი მაგალითი შეიძლება ბევრი მოვიყვანოთ. სასოფლო-სამეურნეო არტელის წესდება სხვა ნაწილებშიაც ხშირად ირღვევა.

მაგრამ ასეთ კოლმეურნეობებთან ერთად შეიძლება დავასახელოთ მთელი რიგი მოწინავე კოლმეურნეობები, რომელნიც სტალინური წესდების დაცვის საფუძველზე გვიჩვენებენ ბოლშევიკური მუშაობის ნიმუშებს.

ოჩემჩირის რაიონის მიქოიანის სახელობის კოლმეურნეობას ჰქონდა 917 ათასი მანეთი შემოსავალი და შრომადღეზე გასცა 12 მანეთი ნაცვლად 1933 წლის 2 მან. და 74 კაპიკისა.

კოლმეურნეობა „ლაზისტანმა", რომლის წევრებიც გადმოსახლებული ლაზები არიან, 1935 წელს შრომადღეზე გასცა 14 მან. და 36 კაპ. ნაცვლად 1933 წლის 72 კაპეიკისა.

ამ და მრავალ სხვა კარგად მომუშავე კოლმეურნეობათა მაგალითები იმის საუკეთესო მაჩვენებელია, თუ რა დიდი მნიშვნელობა აქვს სტალინური წესდების განხორციელებას კოლმეურნეობათა ზრდისა და განმტკიცების საქმეში.

ჩვენი კოლმეურნეობების ზრდისა და განმტკიცების საფუძველზე განუხრელად იზრდება და ფართოვდება კოლმეურნეთა შეძლებული და კულტურული ცხოვრება.

გამონაკლისი როდია კოლმეურნე პიკტიანი (მიქოიანის სახელობის კოლმეურნეობა), რომელმაც 1.200 შრომადღე გამოიმუშავა და განსაზოგადოებული მეურნეობისაგან 14.400 მანეთი შემოსავალი მიიღო.

საკოლმეურნეო წყობილების გამარჯვების საფუძველზე შეძლებული და კულტურული ცხოვრების ზრდის ასეთი მაგალითები საბჭოთა აფხაზეთის სოფელში ამჟამად შეიძლება არა ათობით, არამედ ასობით მოვიყვანოთ.

ამხ. ბერიას მიერ საქართველოს კ. პ. (ბ) ც. კ-ის V პლენუმზე მოცემულ მითითებათა განუხრელი განხორციელებით, სასოფლო-სამეურნეო არტელის სტალინური წესდების ზუსტად დაცვით უნდა მივაღწიოთ იმას, რომ აფხაზეთის თვითეული კოლმეურნეობა იყოს მტკიცე, მძლავრი, ბოლშევიკური კოლმეურნეობა, რომ საბჭოთა ორდენოსანი აფხაზეთის თვითეული კოლმეურნე კულტურულად და შეძლებულად ცხოვრობდეს.

ორდენოსანი აფხაზეთის ბოლშევიკები, თქმა არ უნდა, მიაღწევენ ამას.

ჭიათურა ხვალ!

ჭიათურა საბჭოთა კავშირის ერთ-ერთი მნიშვნელოვანი სამრეწველო ქალაქია, იგი მსოფლიოში ცნობილია მარგანეცის საუკეთესო ხარისხის მადნით. ჭიათურის მარგანეცი ხარისხის მხრივ ევროპის, ამერიკის და სხვა ქვეყნების მადანზე უკეთესია.

ჭიათურის მადნეულის საბადოები შესანიშნავია იმით, რომ მოიპოვება არა მარტო სამეტალურგიო მარგანეცი, არამედ ქიმიური მადნის პიროჭიდის (ანუ პიროლუზიტის) უამრავი მარაგიც.

ჭიათურის მარგანეცის მაღალ ხარისხს და დიდ მარაგს თან ერთვის გეოგრაფიულად ხელსაყრელი პირობები, რის საფუძველზეც შესაძლებელი ხდება მადნის გამოღებისა და გადაზიდვის მექანიზაცია.

ჭიათურა დღეს სოციალისტური ქალაქის რელსებზე დგას. მშრომელთა ეკონომიური და კულტურულ-საყოფაცხოვრებო პირობების გაუმჯობესების შედეგად, საგრძნობლად გაიზარდა მცხოვრებთა რიცხვი. მაგალითად, თუ 1931 წ. ჭიათურაში მოსახლეობა 6.804 სულს შეადგენდა, 1936 წლის 1 იანვრისათვის ეს რიცხვი უკვე 8.111 სულს აღწევდა. (ზრდა უდრის 12 პროცენტს). ჭიათურის ქალაქის სრულ საშუალო სკოლებში სწავლობს 851 მოწაფე, არასრულ საშუალო სკოლებში—609 და დაწყებითს სკოლებში—920. სექტემბერში გაიხსნა ერთი არასრული საშუალო სკოლა ბერძენთათვის, სადაც ბერძენი ახალგაზრდობა თავის დედა-ენაზე მიიღებს განათლებას. გარდა ამისა, გახსნილია 4 საბავშვო ბაღი, მოწყობილია საბავშვო კლუბები სხვადასხვა წრეებით.

ამ ახლო ხანში დამტკიცდა ჭიათურის რეკონსტრუქციის გენერალური პროექტი. პროექტის განხორციელების შემდეგ ჭიათურა ერთ-ერთი ულამაზესი სამრეწველო ქალაქი იქნება.

გენერალური გეგმის მიხედვით პირველი რიგის სამუშაოებში შედის ჭიათურის დასავლეთის მხარის ლეჟავების უბანში, მუშებისათვის 10 ახალი სახლი (თვითეული ბინა 40 კვად. მეტრი) აგება. ასეთივე ზომის 10 სახლი აიგება პერევისის უბანში. ყოველ სახლს წინ ექნება პატარა ბაღი. ამ შენობათა პროექტები დამტკიცებულია და მშენებლობა დაიწყო.

ნინოშვილის ქუჩაზე შენდება 24-ბინიანი 3-4 სართულიანი სახლი. თითო ბინა იქნება 2-3 და 4 ოთახიანი, ხოლო ყველა ბინის საერთო მოცულობა — 18 ათასი კუბომეტრი. ეს შენობა დაიჭერს 1.300 კვად. მეტრ ფართობს და დაჯდება 1 მილიონი მანეთი. გარდა ამისა ნინოშვილის ქუჩის ჩრდილოეთ მხარეს, ბერძენთა კლუბამდე აიგება 12 ბინიანი შენობა.

ქალაქში აგებული მეტი წილი ახალი სახლების პირველი სართული დაეთმობა სავაჭრო ორგანიზაციებს, ხოლო ზედა სართულები გამოყენებულ იქნება საცხოვრებელ ბინებად. მშენებლობათა პირველი რიგის სამუშაოები წინასწარი ხარჯთაღრიცხვით 2.300 ათასი მანეთი დაჯდება.

მეორე რიგში, აფთიაქიდან ელსადგურამდე და ელსადგურიდან შუა პატარა ხიდამდე, მთელ ახლად გაშენებულ სანაპირო ქუჩის გასწვრივ აიგება იმავე კონსტრუქციის შენობები, სულ 66 ბინით.

გარდა ამისა, მეორე რიგის (1937 წ.) სამუშაოები ითვალისწინებს მუშათა ახალი დაბებისა და ახალი საცხოვრებელი ბინების აგებას მღვიმევის უბანში — 1200 კაცისათვის, დარკვეთში—2.500, რგანში (№ 11 მაღაროებთან) — 700, ხოლო № 2-3 მაღაროებთან — 1200, თაბაგრებში —600 და პერევისაში — 200 კაცისათვის. აქვე აშენდება კინო-თეატრები, რომელთაგან თვითეული დაიტევს 150-200 მაყურებელს.

მდინარე ყვირილის მარჯვენა ნაპირზე, საწყობის ადგილას, ფიზკულტურის მოედნის ჩათვლით, გათვალისწინებულია კულტურისა და დასვენების პარკის მოწყობა. დღემდე ჭიათურაში არსებულ სამ პატარა ბაღს წელს კიდევ შეემატა ერთი ლამაზი ხეივანი. ნინოშვილის ქუჩაზე ამჟამად მიმდინარეობს 5.500 კვად. მეტრი ფართობის გამწვანება, შეძენილია 18 ათასი მანეთის სხვადასხვა დეკორატიული მცენარეები.

გარდა ამისა, სწარმოებს ვიწრო ქუჩების გაფართოვება. ახლო ხანში დასრულდება ახალი წყალსადენის მშენებლობა, რომელიც მშრომელ მოსახლეობას მიაწვდის ცივ და სუფთა წყალს. წყალსადენის გაყვანაზე დაიხარჯება 160 ათასი მანეთი, კანალიზაციის მშენებლობა, რომელიც 1933 წელს დაიწყო, დასრულდება 1937 წლის მეოთხე კვარტალში. გაყვანილი იქნება საკანალიზაციო არხი 15 კილომეტრზე, რაც 1.700 ათასი მანეთი დაჯდება. აქედან მიმდინარე წელს გაკეთდება 7 კილომეტრი, რაზედაც დაიხარჯება 400 ათასი მანეთი. ქუჩების მოკირწყვლისათვის მიმდინარე წელს დაიხარჯება 450 ათასი მანეთი.

ამგვარად, მომავალი ჭიათურა, თავისი ფართო და სწორი ასფალტირებული ქუჩებით, ახალი კონსტრუქციის 2-3 და 4 სართულიანი სახლებით, ლამაზად მოწყობილი მაღაზიებით, კულტურისა და დასვენების პარკით, ბაღებით, სკოლებით, კლუბებით, თეატრებით, ნაძვის ხეებით და მრავალნაირი სურნელოვანი მწვანე ნარგავებით აღარ ემსგავსება დღევანდელ ჭიათურას.

კარაპეტ ბურჯიძე.

◇ ◇ ◇

სოფელი შხეფი მოწინავეა

სოფ. შხეფმა (ცხაკაიას რაიონი) საგზაო მშენებლობა დროიანად დაიწყო და რაიონში მოწინავეობა მოიპოვა.

აღსანიშნავია საგზაო რწმუნებულების ვალოდია ჩემიას და კირილე კომლარიას დაუღალავი მუშაობა. საგზაო მშენებლობაზე კიროვის სახელობის კოლმეურნეობა ყველაზე ადრე და მასობრივად გამოვიდა. მოსავლის აღების დაწყებამდე ისინი წარმატებით ამთავრებენ გეგმის შესრულებას 4 კილომეტრის მანძილზე დაყრილია 1597 კუბ. მეტრი ხრეში. ამჟამად მთავრდება ხრეშის დაყრა. საგზაო მშენებლობის ენთუზიასტებად ითვლებიან: მამინტი სახოკია, ტარას სახოკია, ვალოდია ცაავა, ბიქტორ კვირკველია, დიმიტრი კვირკველია და სხვ.

ამ. სახოკია

საკოლმეურნეო ქოხ-ლაბორატორიები

გ. ბადრიშვილი

მემინდვრეობის რესპუბლიკური საცდელი სადგურის უფროსი მეცნიერი მუშაკი

სოფლის მეურნეობის პრაქტიკაში უკვე ფართოდ შემოდის მთელი რიგი ახალ-ახალი აგროტექნიკური ღონისძიებანი, როგორიც არის მაგალითად, გაახალთესლება, შემოდგომის ნათესების დაფარცხვა, ნაწვერალის აოშვა, სათესლე მასალის შემოწმება, თესლის გადარჩევა, სარეველა ბალახების წინააღმდეგ ბრძოლის წესები, მინერალური სასუქების ეფექტური გამოყენება, თესლბრუნვა და სხვ.

უდაოა, რომ მოწინავე აგროტექნიკის ფართოდ დანერგვა საკოლმეურნეო წარმოებაში დიდად არის დამოკიდებული საცდელ სამეცნიერო დაწესებულებათა წესიერ მუშაობაზე. „ცენტრალურმა კომიტეტმა დაადგინა სამეცნიერო-საკვლევ ინსტიტუტთა საცდელი მინდვრები, დასაყრდენი პუნქტები და ბაზები მოეწყოს მოწინავე კოლმეურნეობებსა და საბჭოთა მეურნეობებში, ეს სასარგებლო იქნება თვით ინსტიტუტისათვის, ამაზე ნაკლებად დაიხარჯება სახელმწიფო ფული, აგრეთვე სასარგებლო იქნება იმ საბჭოთა მეურნეობებისათვის, და კოლმეურნეობებისათვის, რომლებშიაც ინსტიტუტი აკეთებს თავის სამეცნიერო ცდებს“.

ამხ. ბერიას მიერ მოცემულ ამ მითითებათა განხორციელებისათვის დიდი მნიშვნელობა ჰქონდა საკოლმეურნეო ქოხლაბორატორიების მუშაობის გარდაქმნას. ქოხლაბორატორია კოლმეურნეობაში წარმოადგენს „პირველადს აგრო-კულტურულ უჯრედს“ (პოსტიშევი), რომელმაც სისტემატურად უნდა გადაიტანოს და გაავრცელოს, როგორც თავისი, ისე მეზობელ კოლმეურნეობებში საცდელი სადგურების მიღწევები და საკუთარი გამოცდილებანი. ქოხლაბორატორია კოლმეურნეობაში უნდა გადაიქცეს იმ პირველად აგროკულტურულ კერად, საიდანაც სისტემატურად, გავრცელდება აგრონომიული მეცნიერების მიღწევანი.

საქ. მიწსახკომის მემინდვრეობის რესპუბლიკურმა საცდელმა სადგურმა ამხ. ბერიას მითითებათა საფუძველზე თავისი მუშაობის საგრძნობი ნაწილი კოლმეურნეობებში გადაიტანა. ქართლის რაიონებში (ხაშური, გორი, კასპი) საცდელ სადგურის დასაყრდენ ბაზად შერჩეულია 8 კოლმეურნეობა (ზ. ოსიაურისა, გომისა, ქარელისა, ბებნისისა, ქვემო სკრისა, ქვემო სობისისა, მეტეხისა და სამთავისისა), სადაც მიმდინარე წლის შემოდგომიდან მოწყობილია ცდები მწვანე სასუქების ეფექტიანობაზე, მინერალური სასუქების გადიდებულ ნორმებზე, შაქრის ჭარხლის სავეგეტაციო გამოკვებაზე, მორწყვის საკითხებზე და სხვ. ამასთან ტფილისისა და ალბულაღის რაიონის კოლმეურნეობებში (მისაქციელი, ახალუბანი, წილკანი, ძალისი, ასურეთი) მოწყობილია სადგურის საკუთარ ჯიშთა გამოცდის ქსელი და ხარისხოვანი თესლის ნათესები ფართო საწარმოო მნიშვნელობით.

მაგრამ მარტო ეს არ კმარა. საჭიროა მოწინავე აგროტექნიკის ლაშქრობაში ჩაებას ყველა კოლმეურნეობა. ამისათვის კი გადაჭრით უნდა გაუმჯობესოთ ქოხლაბორატორიების მუშაობა კოლმეურნეობებში. ჩვენი კავშირის სხვა რესპუბლიკებში, კერძოდ უკრაინაში, განსაკუთრებით ფართო ხასიათი მიიღო ქოხლაბორატორიების მუშაობამ, რომელიც ამხ. პოსტიშევის ხელმძღვანელობით ტარდება. მიმდინარე წლის მარტს ქ. კიევში შედგა უკრაინის ქოხლაბორატორიათა გამგეების თათბირი, სადაც მონაწილეობდა 700 კაცი. თათბირის მუშაობაში მონაწილეობას იღებდნენ ამხ. პოსტიშევი და აკადემიკოსი ლისენკო.

ამ დარგში დიდად ჩამორჩენით ჩვენს მოძმე რესპუბლიკას. მიწსახკომის დადგენილებით მიმდინარე წელს ქოხლაბორატორიები უნდა მოწყობილიყო აღმოსავლეთ საქართველოს 100 მოწინავე კოლმეურნეობაში. ქოხლაბორატორიებისათვის გამოყოფილი უნდა ყოფილიყო საცდელი ნაკვეთები, ბინა 2-3 ოთახით, შეძენილი უნდა ყოფილიყო ლაბორატორიის ხელსაწყოები და მომზადებულიყვნენ კოლმეურნენი ქოხლაბორატორიების ხელმძღვანელებად.

შემოწმებით გამოირკვა, რომ მთელი რიგი რაიონების სამიწათმოქმედო ორგანოები და მტს-ები ნაკლებ ყურადღებას აქცევენ ქოხლაბორატორიების მუშაობას კოლმეურნეობებში. ქოხლაბორატორიებისათვის არ არის გამოყოფილი სტაციონალური საცდელი ნაკვეთები გურჯაანის, წნორის, თიანეთის, ბაშკიჩეთის, ტფილისის, კასპის, გორისა და ავრის მ.ტ.ს.-ის სამოქმედო რაიონებში. ქოხლაბორატორიებისათვის დღემდე არ გამოუყვიათ ბინები და არ არის იგი უზრუნველყოფილი ელემენტარული ხელსაწყოებითაც კი. ალბულაღის რაიმიწგანი უმოქმედობას იჩენს, სხ. არ აფასებენ ქოხლაბორატორიების მნიშვნელობას.

სიღნაღის რაიონში ქოხლაბორატორიის გამგეთა მოსამზადებელი კურსები არ მოუწყვიათ. გორის რაიონში ქოხლაბორატორიის გამგეთა მოსამზადებელი კურსები გავლილი აქვს 9 კაცს, რომელთაგან არც ერთი არ მუშაობს ქოხლაბორატორიის გამგედ. მსმენელები კურსებისათვის არ ყოფილან სათანადოდ შერჩეული. კურსების მეცადინეობა ისე ჩატარდა, რომ მტს-ს მონაწილეობა არ მიუღია.

ხაშურის რაიონის კოლმეურნეობებში (ზემო-ოსიაური, ახარმა, ქარელი, ქვემო-ხვედურეთი), თუმცა დაყენებულია ცდები, მაგრამ ყველა ერთი ხასიათისაა. ცდების დაყენებისას არ იცავენ ელემენტარულ პირობებს. მაგალითად ზემო-ოსიაურის კოლმეურნეობამ შემოდგომის ხორბლის სხვადასხვა ხარისხის თესლი წონის მიხედვით არ დათესა. ჩანაწერები საკოლმეურნეო ცდებზე კოლმეურნეობაში არ არსებობს.

წელს ქოხლაბორატორიების მუშაობა თითქმის ყველა რაიონში უგეგმოდ მიმდინარეობდა. მ. ტ. ს-ის და რაიმიწგანის აგროტექნიკური პერსონალი უმეტეს შემთხვევაში განზე იდგა, არ იცნობდა თავის კოლმეურნეობებში ქოხლაბორატორიის მუშაობას. ქოხლაბორატორიებთან არ არის შექმნილი მცდელ მეურნეთა და კომკავშირული აქტივი, ქოხლაბორატორია არ არის დაკავშირებული კოლმეურნეობის საწარმოო თათბირთან.

ამის მიზეზი შეუწყნარებელია. საკოლმეურნეო ქოხლაბორატორიების მნიშვნელობის შეუფასებლობას ბოლო უნდა მოეღოს. რაიონის პარტიულმა ორგანიზაციებმა, რაიმიწგანებმა და მტს-ებმა დაუყოვნებლივ უნდა გარდაქმნან მუშაობა ამ დარგში. მემინდვრეობის საცდელმა სადგურმა გადაჭრით უნდა გააუმჯობესოს მეთოდური ხელმძღვანელობა ქოხლაბორატორიებზე, ხოლო მ. ტ. ს-ის უფროსმა აგრონომებმა და უბნის აგრონომებმა უშუალოდ, ყოველდღიურად უხელმძღვანელონ ქოხლაბორატორიების მუშაობას, შექმნან ქოხლაბორატორიებთან საკოლმეურნეო აქტივი და დარაზმონ ისინი უხვი მოსავლის მისაღებად საქ. კ. პ. (ბ) ც. კ-ის V პლენუმის გადაწყვეტილებათა საფუძველზე.

მიმდინარე წლის შემოდგომისა და ზამთრის პერიოდი გამოვიყენოთ კოლმეურნეობებში ქოხლაბორატორიების მუშაობის სათანადო სიმაღლეზე დასაყენებლად.

ბორჩალოს რაიონის უფროსი აგრონომი რატიშვილი ამოწმებს, სოფ. ჯანდარის სტახანოველი კოლმეურნე ქალის კარი ყურბან ყიზის მიერ შეტანილი თამბაქოს ხარისხს.

ილო მოსაშვილი

მოდის დოლორეს

ეროვნული ბიბლიოთეკა

აღარ ჩაქრება, აღარც [illegible]
ჩვენს გულში სისხლი [illegible]
წააქცევს მუხებს და ძირ[illegible]
ამოსთხრის ტყეებს [illegible]
ისევ წამოვა ცეცხლის მორევით,
ზღვებსა და ხმელეთს მოითარეშებს,
რომ გაიტანის ეს სიხარული
თავის მიწის და ქვეყნის გარეშეც.
ახლაც ამდგარა, ელვის ტოროლებს
ღრუბლებში გზავნის, როგორც დესპანებს,
ბარიკადებზე დაჭრის დოლორეს
და ბრძოლის ველზე უხმობს ესპანეთს.
ქარიშხალია, ავდარი შფოთავს,
მდინარეებზე გლეჯენ კაშხალებს,
არაფერია, იავდიოს ცოტაც
და ცხელი წვიმა ასვას მიწებს.
არაფერია, მოჭრილ ხესავით
დაეცეს გმირი მტერზე მისული,
მეორე მივა, მივა მესამე,
შესცვლის ათასი ძმადშეფიცული.
ასე უკეფავს კლდეები დევნას,
ასე წვებოდნენ გმირები დონზეც,
მკერდს დაამტვრევდნენ ეკლიან რკინას
და ჭრილობებზე იხვევდნენ ძონძებს.
არ შეუტყვიათ ხანჯლები მხარში,
არ უკვნესიათ სიკვდილის დროსაც,
სისხლიან პერანგს გაშლიდნენ ქარში
და მტრის ბანაკში მიჰქონდათ დროშად.
ახლაც ბრძოლაა, მოჭრილ ხესავით
დაეცეს გმირი მტერზე მისული,
მეორე მივა, მივა მესამე,
შესცვლის ათასი ძმადშეფიცული.
რა დალევს ბოლოს, ათას მზესავით,
დროშებს დროშები გადმოუშლიათ,
და მოდის ხალხი, მოდის ტყესავით,
ქვეყნის გარეთ და ქვეყნის გულშიაც.
მოდის დოლორეს, სამშობლოს მხარეს
ისევ უყვავის გული — საკირე,
და მკერდით იცავს მადრიდის კარებს,
ქალი მხედარი და მესაყვირე.

პრესის მიმოხილვის მაგიერ

რაიონული პრესა და მუშსოფკორები

ბოლშევიკური გაზეთი უნდა კეთდებოდეს მუშათა და კოლმეურნე მასების ფართო მონაწილეობით. ამიტომ საჭიროა თვითეული გაზეთის რედაქციას აღრიცხული ჰყავდეს თავისი აქტივი — მუშსოფკორები. უნდა აღირიცხონ მოწინავე მუშები, კოლმეურნეები და მოსამსახურეები, რომლებიც სისტემატურად თანამშრომლობენ გაზეთში. მაგრამ მარტო აღრიცხვა არაა საკმარისი, არამედ მუშსოფკორთა, აგრეთვე კედლის გაზეთის რედაქტორთა შორის ყოველდღიურ მუშაობას უნდა ეწეოდნენ რაიონული გაზეთის რედაქტორი და მისი მოადგილე.

ხშირად რაიონული გაზეთების რედაქტორები კმაყოფილდებიან მუშსოფკორთა მხოლოდ ფორმალური აღრიცხვით. უკეთეს შემთხვევაში რედაქციის რიგითი თანამშრომელს თუ ჩაატარებინეს უბრალო რიგი შეკრება, ამით ყველაფერი მორჩა. ეს საქმის ხელაღებით თავიდან მოშორებას ნიშნავს.

რაიონული გაზეთის რედაქცია მუშსოფკორებისათვის უნდა აწყობდეს მოკლევადიან კურსსემინარებს, რაიონულ და უბნობრივ შეკრებებს, ინდივიდუალურ და კოლექტიურ კონსულტაციებს და სხვ. კურსსემინარს, შეკრებებს და კონსულტაციას პირადად რედაქტორი უნდა ატარებდეს. ამგვარი მუშაობის ჩატარებით რაიონულ გაზეთს შეუძლია აღზარდოს საუკეთესო მუშსოფკორები და კედლის გაზეთის რედაქტორები.

მაგრამ, სამწუხაროდ, ბევრგან რაიონულ და საქალაქო გაზეთის რედაქტორებს მუშსოფკორთა და კედლის გაზეთის რედაქტორთა შორის მუშაობა მეორეხარისხოვან საქმედ მიაჩნიათ და გაზეთსაც კაბინეტურად აკეთებენ.

○

საქ. კ. პ. (ბ) ფოთის საქალაქო კომიტეტის ორგანო გაზეთ „მგზნებარე კოლხიდელი“ ყოველდღიური გაზეთია. ფოთის სინამდვილეში ყოველდღიური გაზეთი აუცილებელ საჭიროებას წარმოადგენს. ეს იმით აიხსნება, რომ ფოთი დღითიდღე იზრდება, როგორც სოციალისტური ტიპის ქალაქი. ფოთს აქვს ნავთსადგური, რკინიგზა, სხვადასხვა სახის მსხვილი საწარმოები. ამგვარ პირობებში გაზეთის წინაშე მეტად რთული ამოცანები დგას.

გაზეთის შეთავსებით რედაქტორობს ამხ. გაბისონია. სხვადასხვა საქმით დატვირთული რედაქტორი, რასაკვირველია, გაზეთის ძირეულ საკითხებს დიდ ყურადღებას ვერ აქცევს. რედაქციაში 104 აღრიცხულ „მუშსოფკორთა“ შორის არც ერთი კოლმეურნე არა ჰყავთ, იმ დროს, როდესაც ფოთის მოსახლეობის 88,8 პროცენტი კოლმეურნეობებად არის გაერთიანებული.

„მგზნებარე კოლხიდელის“ რედაქციაში ვერც მასობრივ მუშაობას აფასებენ ჯეროვნად. ამას მარტო ის ფაქტიც მოწმობს, რომ ყოველდღიურ გაზეთს მუშსოფკორთა შორის მომუშავე არა ჰყავს.

ფოთში ჩაიშალა „კრესტიანსკაია გაზეტას“ და „კომუნისტის“ მიერ მოწყობილი საკოლმეურნეო და საბრიგადო კედლის გაზეთების რედაქტორთა დაუსრულებელი კურსები.

„მგზნებარე კოლხიდელის“ რედაქციამ წელს მოაწყო კედლის გაზეთის რედაქტორთა მოკლევადიანი კურსები, მაგრამ კურსებს პირადად ხელმძღვანელობდა არა თვით რედაქტორი, არამედ განათლების განყოფილების პოლიტდარგში მომუშავე!

გაზეთში მუშსოფკორთა მონაწილეობა სუსტია.

○

გეგეჭკორის რაიონულ გაზეთის „სოციალისტური სოფლის“ რედაქტორს ამხ. მიქაძეს მუშსოფკორთათვის არ მოუწყვია არც ერთი კურსსემინარი, რაიონული შეკრება და კონსულტაცია, მხოლოდ ორჯერ რედაქციის რიგით თანამშრომლებს ჩაუტარებიათ უბრალო შეკრება და ამით ვალი მოუხდიათ. კედლის გაზეთების რედაქტორთა შორის არავითარი მუშაობა არ სწარმოებს. ამხ. მიქაძეც შეთავსებით რედაქტორია და ალბათ თავს „გაიმართლებს“.

○

ამ უკანასკნელ ხანებში მუშაობის გამოცოცხლების ნაცვლად მუშსოფკორები და კედლის გაზეთის რედაქტორები სულ დაივიწყა აბაშის რაიონული გაზეთის „საბჭოთა სოფლის“ რედაქციამაც.

ჯერჯერობით დასავლეთ საქართველოს ზოგ რაიონთან შედარებით მუშსოფკორებსა და კედლის გაზეთის რედაქტორებთან მუშაობის უკეთეს მაგალითებს ცხაკაიას რაიონული გაზეთი „მთლიანი კოლექტივიზაციის“ (რედაქტორი ამხ. [illegible]) რედაქცია იძლევა.

რაიონული გაზეთების რედაქტორებს ავიწყდებათ, რომ მუშსოფკორები ბოლშევიკური პრესის ენთუზიასტები არიან და მათი აქტიური მონაწილეობის გარეშე გაზეთი ფართოდ ვერ დაუკავშირდება მასებს. მუშსოფკორების შეუფასებლობა, მათდამი ფორმალური ბიუროკრატიული დამოკიდებულება უცხოა ბოლშევიზმისათვის.

პროფესორები: შ. მიქელაძე, გრ. მუხაძე, ნ. ყიფშიძე

ბახმაროს—ყურადღება!

40 წელზე მეტია რაც ბახმარო ცნობილია ჩვენში. იგი მშრომელმა ხალხმა აღმოაჩინა. შემდეგ კი შესანიშნავი კლიმატური თვისებები და სამკურნალო ეფექტიანობა ექიმებმა და მეტეოროლოგებმა დაადასტურეს.

1922 წლიდან იგი აღიარებულ იქნა სახელმწიფოებრივი მნიშვნელობის კურორტად. მას აქეთ უკვე 15 წელმა განვლო და ბახმარო თითქმის ისეთსავე მდგომარეობაშია, როგორც წინათ იყო. მიუხედავად მოუწყობლობისა. ბახმაროში ყოველ ზაფხულობით მიდის 12-16 ათასი მშრომელი. კურორტის ეფექტიანობა ისეთია, რომ არც მძიმე ყოფა-ცხოვრებითი პირობები, არც მოუხერხებელი გზა რომელზედაც ქვემოთ გვექნება ბაასი, არ უტეხს დაავადებულ მშრომელს გულს და თუ იგი ერთხელ მაინც იყო ბახმაროში უკვე მუდმივი მოტრფიალე და ზაფხულობით მუდმივი მოაგარაკე ხდება ამ მიუდგომელი და მოუწყობელი კურორტისა.

რით აიხსნება ეს? რით აიხსნება ასეთი აღტაცება ბახმაროთი, ამ კურორტის ასეთი შეყვარება ავადმყოფების მიერ? არის თუ არა ამისათვის გარდა სუბიექტური განცდებისა, რაიმე ობიექტური საბუთები? აი ის საკითხები, რომლებიც გვინდა დღეს აქ განვიხილოთ, გავუზიაროთ მკითხველს ჩვენი შთაბეჭდილება და ის მეცნიერული მონაცემები რაც კი ბახმაროს შესახებ მოიპოვება.

ბახმარო გურიაში მდებარეობს სახელდობრ ჩოხატაურის რაიონში, შავი ზღვის დონიდან 2000 მეტრის სიმაღლეზე. ბახმარო საქართველოში ყველა კურორტზე უფრო მაღალია და, თუ გნებავთ მის პირველ თავისებურებას ეს გარემოება წარმოადგენს. შუაზე ჩამოუდის პატარა და ჩქარი მდინარე ბახვის წყალი; ოთხივე მხრიდან კი საზღვრავენ მთები, რომლების ფერდობები ნაძვნარით არის დაფარული. ამ მთებში სამხრეთით მდებარე ფაფარა და საყორნია საკმაოდ მაღალია და 700-1000 მეტრითაა ამართული ბახმაროს დონიდან, დანარჩენები კი შედარებით ნაკლები სიმაღლისაა (300-500 მეტრი) ხოლო დასავლეთით კიდევ უფრო დაბალი, რის გამო შავი ზღვიდან, რომელიც პირდაპირ ხაზით მხოლოდ 30-35 კილომეტრითაა დაშორებული ბახმაროს, ამ კურორტს ზღვის ჰაერის მასები ხვდება.

2000 მეტრის სიმაღლეზე მდებარე, მთის ჰავის მქონე კურორტი ზღვის ჰავის უეჭველ გავლენას განიცდის, ყოვლად შეუძლებელია ეს გარემოება თავისებურად არ მოქმედებდეს ბახმაროს ჰავაზე.

ბახმაროს ახლო მდებარე ერთ ერთი მთიდან ამ აგარაკს რომ გადახედავთ, თვალწარმტაცი სურათი გადაგეშლებათ: ფართო და გრძელი ვაკე, რომლის შუა ნაწილში მიჩუხჩუხებს ბახვის წყალი, ირგვლივ ფერდობები, რომლებიც თანდათანობით ეშვებიან ვაკისაკენ და დაფარული არიან ას და ორას წლოვანი ნაძვის ხეებით, შემდეგ მაღლა: ჯერ ალპური სათიბები და მერმე მაღალი მთები (საყორნია, ფაფარა), სადაც შუა ზაფხულშიაც ხევებში თოვლი სქელ ფენებად დევს. ეს სურათი იმდენად ლამაზი, იმდენად საამურია, რომ გინდა სულ უცქირო და თვალი არ მოაშორო. მაგრამ ბახმაროს თავისებურებას ის წარმოადგენს, რომ სხვადასხვა მხრიდან თუ გადახედავთ მას, საერთო ხედიც სხვადასხვაგვარია მუდამ ლამაზი და მშვენიერი მაგრამ მუდამ არაერთგვარი, მუდამ თავისებური.

თვით ის ფართობი, სადაც შეიძლება კურორტი გაშენდეს, იმდენად დიდია, რომ იქ თავისუფლად შესაძლებელია 50 ათასი კაცის საცხოვრებელი მოეწყოს. გარდა პარკებისა, ბაღებისა, კულტურული გასართობებისა და სხვ.

ბახმაროს კიდევ ერთი თავისებურება აქვს ½ საათის სიარულის შემდეგ თქვენ შეგიძლიათ ახვიდეთ ერთერთ მოსაზღვრე მთაზე, რომელსაც „გადასახედს“ უწოდებენ. აღმართი და მანძილი დაახლოვებით ისეთივეა, როგორც ვერის ხიდიდან იმ ადგილამდე, სადაც მთაწმინდაზე ილია და აკაკი არიან დაკრძალულნი. აი ამ გადასახედიდან უკვე სულ სხვა სურათი იშლება. შორს, როგორც ხელის გულზე ისე მოჩანს კავკასიონის ქედის დასავლეთი ნაწილი.

თქვენ წინ აღმართულია თოვლიანი ყინულიანი კავკასიონი და ზედ მკაფიოდ გამოირჩევა ორთავიანი უზარმაზარი იალბუზი, შემდეგ სვანეთის სიამაყენი, უშბა და თეთნულდი, მერე კიდევ შხარა. ასეთი სურათი შეიძლება მხოლოდ ლატფარის უღელტეხილიდან დაინახოთ, შედარებით ადვილად მისადგომ ადგილზე რომ ვილაპარაკოთ მაგრამ აქიდან ჩანს სხვა რამეც, რის დანახვა სხვა ადგილიდან უკვე აღარ ხერხდება. ხედავთ რიონისა და სუფსას ველებს. თქვენს პირდაპირ ჩანს ქუთაის-ორპირის გზატკეცილი, სამტრედია. ქვემოდ კიდევ ჩოხატაური და მის ახლო მდებარე სოფლები. მარცხნივ მახარაძე და შორს შორს შავი ზღვა, რომლის ტალღები გურიისა და აჭარის ნაპირებს ეხეთქება.

ასეთი სანახაობისათვის სხვაგან უცხო ქვეყნებიდან მოდიან ტურისტები, რომ დასტკბენ ბუნების სილამაზით, აქ კი, ბახმაროზე ამ სურათის ხილვა ½ საათის სიარულის შემდეგ შეგიძლიათ.

ამგვარია ბახმაროს მდებარეობა, რომელსაც რა თქმა უნდა არც ერთი ჩვენი კურორტი არ გვაძლევს, ვიტყოდით მეტსაც არც ერთ ევროპულ კურორტზე ასეთი თვალწარმტაცი სურათები არ იშლება.

უნდა აღინიშნოს, რომ ბახმაროს ჰავის შესწავლის მხრივ ამ უკანასკნელ წლებში ბევრი რამ არის გაკეთებული.

ბახმაროში მოწყობილია მეტეოროლოგიური სადგური, რომელიც ზამთარ-ზაფხულ უკვე რამდენიმე წელია აწარმოებს დაკვირვებებს ბახმაროს ჰავაზე.

მართალია ბახმაროს შესახებ ჯერჯერობით ათეული წლების დაკვირვებანი არ მოგვეპოვება. ეს დაკვირვებები მხოლოდ ამ უკანასკნელ წლებში დაიწყო მაგრამ ის, რაც ამ მხრივ უკვე გაკეთებულია უფლებას გვაძლევს გამოვიტანოთ დასკვნა, რომ ბახმარო იშვიათი ადგილია.

მიუხედავად იმ ფაქტისა, რომ ბახმარო უფრო მაღლა მდებარეობს (200 მეტრი) ვიდრე დავოსი, ლეიზენი, აროზა და აბასთუმანი, ბახმაროზე ზამთარში უფრო ნაკლები სიცივეა, ვიდრე აღნიშნულ კურორტებზე. აშკარაა აქ მოქმედებს ჰავა ზღვისა, რომელიც ასე ახლოსაა ბახმაროსთან. ზღვის ჰავის გავლენა ბახმაროზე დადასტურებულია ცნობილ ჰიდრომეტეოროლოგ ქ. ჰირაძის მიერ.

ბახმაროს ჰაერი იშვიათი სისუფთავით არის ცნობილი. პროფ. კალიტინის გამოკვლევით ერთ კუბ. სანტ. ჰაერში არის მტვერი (მტვრის სახე):

ბორჯომში — 520—10590 სხვადასხვა ადგილას.

აბასთუმანში — 590—6400 სხვადასხვა ადგილას.

ბახმაროზე — 400—1.100 სხვადასხვა ადგილას.

თუ რამდენად დიდი რაოდენობით შეიცავს მტვერს ზოგიერთი ქალაქის ჰაერი ეს იქიდან ჩანს, რომ მაგალითად გლაზგოში (ინგლისი) ერთი კუბ სანტ. ჰაერი შეიცავს 470,000 მტვრის სახეს. ამ მხრივ საინტერესოა აგრეთვე ტფილისის მდგომარეობა. იგი იძლევა შემდეგ სურათს:

რუსთაველის პროსპექტი—19.500 მტვრის სახე.

ვერის (ელბაქიძის) დაღმართი — 36,900 მტვრის სახე.

ცხადია ბახმაროს ჰავის შესწავლა ჯერ კიდევ მომავალს ეკუთვნის რადგან ამ მხრივ საჭიროა დიდხნის მეტეოროლოგიურ დაკვირვებათა შეფარდება, მაგრამ ისიც რაც მოგვეპოვება უფლებას გვაძლევს ვთქვათ, რომ ბახმარო თავისი ჰავით გამოსადეგია მთელი წლის განმავლობაში და არ ჩამოუვარდება ევროპის ცნობილ კურორტებს დავოსს, ლეიზენს და აროზას.

ასეთია ბახმაროს ჰავა.

რა გავლენას ახდენს ბახმაროს ჰავა ავადმყოფზე? ამ კითხვაზე პასუხის გასაცემად შედარებით მცირე რამაა გაკეთებული, მაგრამ ისიც რაც არის სრულიად საკმარისია იმის დასადასტურებლად, რომ ბახმარო უდიდეს გავლენას ახდენს ადამიანზე მთელ რიგ სნეულებათა დროს.

უკვე ძველი დაკვირვებები ექ. დავიდიანცის (ოზურგეთის მაზრის ექიმი იყო), ექ. ავთანდილ ინგოროყვას, რომელიც მრავალი წლის განმავლობაში თვითონაც დადიოდა ბახმაროში და თავის ავადმყოფებსაც გზავნიდა, ნათლად გვიჩვენებს ბახმაროს შესამჩნევ გავლენას ფილტვის ტუბერკულიოზით დაავადებულ ავადმყოფებზე, სუსტ გულმკერდიანებზე, პლევრიტიანებზე, სკროფულოზიანებზე, მალარიიანებზე, სისხლნაკლებზე და სხვ.

ექ. ალ. ჩიჯავაძის გამოკვლევა ნათლად ამტკიცებს, დიდ გავლენას, რომელსაც ბახმაროს ჰაერი ახდენს სისხლზე: სისხლის წითელი ბურთულების რიცხვი და ჰემოგლობინის რაოდენობა შესამჩნევად მატულობს და ეს ხომ დიდი მნიშვნელობის ფაქტორია.

ყველაზე საინტერესო დაკვირვებები, იმაზე, თუ როგორ გავლენას ახდენს ბახმაროს ჰავა ძვლების ტუბერკულიოზით დაავადებულებზე მოახდინა ექ. გავრილენკომ, რომელიც საქართველოს სახ. კურორტოლოგიის ინსტიტუტის დავალებით მთელ ზამთარს დარჩა ბახმაროში და იქვე დასტოვა ძვლის ტუბერკულიოზით შეპყრობილი ავადმყოფები, მან მიიღო შესანიშნავი შედეგები რომლებიც არათუ არ ჩამოუვარდება მსოფლიოში განთქმულ კურორტებზე (ლეიზენი, დავოსი და სხვ.) მიღებულ შედეგებს, არამედ კიდევაც სჯარბობს მათ.

ექ. გავრილენკოს დაკვირვებამ ნათლად დაამტკიცა, რომ ბახმარო არამარტო კარგი საზაფხულო კურორტია, არამედ კიდევ უკეთესი საზამთრო კურორტიცაა.

ბახმაროს არა აქვს მისადგომი გზები. ერთადერთი, რომელსაც შესაძლებელია გზა ეწოდოს, ეს ჩოხატაურიდან ნაბეღლევზე მიმავალი გზაა, მაგრამ იგი არათუ მანქანისათვის, ზოგ ადგილას ურმისათვისაც გამოუსადეგარია. ამასთან საკმაოდ გრძელიც არის.

ამგვარად, უპირველეს ყოვლისა ბახმაროზე უნდა გავიყვანოთ კარგი გზები. ჯერ შესაძლებელია გაკეთდეს ჩოხატაურ - ნაბეღლევის გზა, შემდეგ კი აგრეთვე ოზურგეთ—ვაკისჯვრის გზა. იგი უფრო მოკლეა, მაგრამ მისი გაკეთება უფრო მეტ ხარჯს მოითხოვს.

—

მეორეა ბახმაროს ტყის დაცვისა და მოვლის საკითხი. როგორც ზემოთ იყო მოხსენებული, ბახმაროს მთის კალთებზე ას და ორასწლოვანი ნაძვებია, უფრო მცირედ სოჭიც. ბახმაროს ერთგვარ ნაკლს წარმოადგენს, ის რომ აქ ფიჭვი არ არის. ნაძვებს მოვლა-პატრონობა უნდა. ბახმაროს ნაძვნარი უკვე საკმაოდ გაკაფულია. გაკაფვა თუ გაგრძელდა, ბახმაროს მოაკლდება ერთერთი უმნიშვნელოვანესი სილამაზე და ჰავაზე დადებითად მომქმედი ფაქტორი. ტყე უნდა გაფართოვდეს კარგად იქნეს დაცული და შემდეგ აუცილებლივ გაშენდეს ფიჭვი.

შემდეგ უნდა შესდგეს ბახმაროს მშენებლობის გენერალური გეგმა და ამ გეგმის მიხედვით გაჩაღდეს მშენებლობა. ბოლო უნდა მოეღოს ახლანდელ მდგომარეობას, როდესაც სახლებს აშენებენ ვისაც სად უნდა და როგორც უნდა. ბახმაროს სახლები ელემენტარულ მოთხოვნილებას ვერ აკმაყოფილებს ეს უბრალო ფიცრულებია,სადაც ქარი თავისუფლად დანავარდობს. დაგეგმვასთან ერთად უნდა მოეწყოს წყალსადენი და კანალიზაცია. ბახმაროზე აუარებელი წყაროებია. ყოველ უბანს თავისი წყარო აქვს და მერმე რა წყარო! გემრიელი წყალი და ისეთი ცივი, რომ ადამიანს არ შეუძლია ერთბაშად დალიოს ერთი ჩვეულებრივი ჭიქა. წყაროები ისეა განლაგებული რომ წყალსადენი ადვილად გაკეთდება თვითდენით.

უფრო ძნელი განსახორციელებელია კანალიზაცია, მაგრამ ბახმაროს რელიეფი ამასაც ხელს უწყობს.

ბახმაროზე უნდა აშენდეს ერთი სანატორიუმი მაინც, რომელიც ზამთარ-ზაფხულს იმუშავებს და ავადმყოფებსაც უმკურნალებს და კლინიკურ დაკვირვებებსაც აწარმოებს.

ჩვენ კარგათ გვესმის, რომ საქართველოს წამყვანი კურორტები ბორჯომი, წყალტუბო და აბასთუმანია, რომ საჭიროა უპირველეს ყოვლისა ეს კურორტები მოეწყოს სათანადოდ. მაგრამ ჩვენ ვფიქრობთ, რომ ბახმაროც, თავისი ბუნებრივ სიმდიდრით და ავადმყოფობაზე გავლენით, ღირსია განსაკუთრებული ყურადღებისა.

◆

რაიონებში

სტახანოველთა სახელობის ბრიგადა

ნაგომრის (მახარაძის რ.) კოლმეურნეობის მეათე ბრიგადა გასული წლიდან სტახანოველთა სახელს ატარებს. მას ამხ. ლევან მათითაიშვილი ხელმძღვანელობს და საქმეც წინ მიჰყავს—არ არის კოლმეურნეობაში არც ერთი საკითხი, რომელიც მას წესიერად დამუშავებული და მოგვარებული არ ჰქონდეს.

მეათე ბრიგადის ენერგიული მუშაობით აქ ჩაის კრეფის გეგმაც 120 პროცენტითაა შესრულებული, თვითეული კოლმეურნის მიერ გამომუშავება კი 300—320 შრომადღეს აღწევს (ც. კალანდაძე, ბ. წიტაიშვილი, ან. მათითაიშვილი, ს. წიტაიშვილი, ნორა მათითაიშვილი და სხვ.).

ალ. ანთაძე

○

გაგვიხსენით სავაჭრო

როხატაურის რაიონის სოფელ ნაკადულში ბევრი კარგი საქმე გაკეთდა: მოეწყო კოლმეურნეობა, სკოლა, სამკითხველო და ბევრი სხვაც, მაგრამ კოოპერატივი კი არ აქვთ. ამიტომ მოსახლეობა სულ უბრალო საჭიროებისათვისაც კი 4 კილომეტრზე დადის, რაც დიდ დროსა და ენერგიას ითხოვს. რაიონის ხელმძღვანელობამ სავაჭრო ჩქარა უნდა გახსნას.

ბ. თოდუა

○

დამყნილია 12.000 ძირი ციტრუსი

ლანჩხუთის რაიონში ამხ. კიროვის სახელობის კოლმეურნეობა ციტრუსების გაშენებასა და მოვლას განსაკუთრებულ ყურადღებას აქცევს. წელს გეგმით გათვალისწინებულ 7.000 ძირის ნაცვლად დამყნილია 12.000 ძირი მანდარინი და ლიმონი.

შ. კუნჭულია

○

მზესაც გაურბიან და ხალხსაც

თელავის რაიონის ნაფარეულის საბჭოთა მეურნეობაში ბუხჰალტერიის მუშაკებს თავის ადგილზე იშვიათად ნახავთ. ცხელა და ბუზებიც ხელს გვიშლიანო. ნამდვილად კი ღამე მუშაობის მიზეზი „ზედმეტ საათებში" ნამუშევრის გამოწერის სურვილია, რასაც დიდძალი თანხა სჭირდება.

საქმეზე მოსული ხალხი ამ მდგომარეობით უკმაყოფილოა.

შ. კოგზონაძე

○

ნერგი 190 ჰექტარისათვის

ცაგერის რაიონში მეხილეობას კარგი პირობები აქვს. ადგილობრივი ტექნიკუმი ამ საქმეს სერიოზულ ყურადღებას აქცევს: —36.000 ძირ საძირეს წელს დაამყნეს 18.000 საუკეთესო ხეხილი.

2—3 წლის შემდეგ ეს ნამყენი 190 ჰექტარზე გადაირგვება.

გერ. ჩაკვეტაძე

○

ფოთოლს ახალი წესით აჭკნობენ

მახარაძის ჩაის ფაბრიკაში შარშან ფოთლის ჭკნობაში გამოცდილ იქნა ინჟინერ ამხ. შარკოვსკის სისტემის დანადგარი. მოწყობილობამ საუკეთესო შედეგი გამოიღო. ფოთლის ჭკნობის ხანგრძლივობა (რაც დიდ გავლენას ახდენს ჩაის ხარისხზე) 18—30 საათიდან 6—8 საათამდე შემცირდა, შრომის ნაყოფიერება გაიზარდა, ჭკნობის თვითღირებულებაც შემცირდა კილოგრამისა 0,9 კაპეიკამდე.

წელსაც ამხ. შარკოვსკის აპარატი აქ წარმატებით მუშაობს, — დღეღამეში 4.500 კილოგრამ ნედლ ფოთოლს ამუშავებს.

საჭიროა ეს აპარატი სხვა ფაბრიკებშიაც გავრცელდეს.

კლ. თავაძე
სევ. საჯაია
დ. ცინცაბაძე

○

გამოავლინეს და გამოასწორეს

ჩხოროწყუს რაიონის ს. ლესიჭინის კოლმეურნეობაში დამუშავდა ამხ. ლ. ბერიას მოხსენება, რომლის შედეგად ამავე კრებაზე გამოავლინეს სტალინური წესდების დარღვევის ფაქტები: კოლმეურნეობა „ტემპში" (თავმჯდომარე გრ. სიჭინავა) ზოგიერთ წევრს მიზომილი ჰქონდა წესდებით გათვალისწინებულ ნორმაზე მეტი საკარმიდამო ფართობი, ამავე კოლმეურნეობაში აღმოჩნდა კოლმეურნეების თანხების გაფლანგვა.

შეცდომები გამოსწორებულია. კოლმეურნეები გულდასმით სწავლობენ ამხ. ბერიას მოხსენებას და მის საფუძველზე იბრძვიან საკოლმეურნეო მშენებლობის შემდგომი აღმავლობისათვის.

ქ. დგებუაძე

წლიური გეგმა აგვისტოში შესრულდა

ქობულეთის რაიონში ხალის სასოფლო საბჭოს ჩაის კრეფის წლიური გეგმა ჯერ კიდევ აგვისტოში 6.500 კილოგრამის გადაჭარბებით შესრულდა. განსაკუთრებით ნაყოფიერად მუშაობს პირველი და მეოთხე ბრიგადა. მათ შორის ბევრია სტახანოველი და დამკვრელი.

გ. ზოიძე

○

ნუ დაალპობთ თივას

ბაშკიჩეთის რაიონში წელს 1700 ტონა თივა უნდა დამზადდეს. ამ მიზნით სოფელ დმანისში გახსნილი მიმღები პუნქტი, სადგურს 57 კილომეტრითაა დაშორებული.

დღემდე გადმოზიდულია 400 ტონა თივა,—გეგმის 23,5 პროცენტი. მაგრამ მუშაობა ფერხდება თივის მოსაცელელად და გადმოსაზიდად საჭირო მასალის უქონლობის გამო, — „ზაგოტზერნოს" ბაზას არ გააჩნია საჭირო რაოდენობის საბურავები, კამერები, საწვავი მასალა და მავთული.

ფერხდება ვაგონის მიწოდებაც და სადგურზე ლპება დაწნეხილი თივა.

მ. ჩხაიძე

○

მოსავლის ასაღებად არ ემზადებიან

სოფელ **ქობულეთის** სასოფლო საბჭოში წელს ციტრუსების დიდი მოსავალია. აქაურმა პუნქტმა წელს სახელმწიფოს უნდა ჩააბაროს: პირველი ხარისხის მანდარინი 7.563.860 ცალი, ლიმონი 34.302 და ფორთოხალი 55.000 ცალი. ხშირია ისეთი კოლმეურნე, რომელიც სახელმწიფოს 150 ათასამდე მარტო მანდარინს ჩააბარებს (ილიას ინაიშვილი, ჯემალ ინაიშვილი, ქუხეინ გოგუაძე და სხვ.).

როგორც ვიცით, მოსავლის აღებამდე არც ისე დიდი დროა. მაგრამ მიმღებ პუნქტს მშენებლობის გეგმის შესრულება აქ არც კი მოუგონია, შენობის მასალა ლპება, ხოლო ძველ შენობაში ისე წვიმს, როგორც გარეთ. გაუგებარია, რას უცდიან აჭარკოოპკავშირის ხელმძღვანელები.

ი. ევგენიძე

○

მოსავლის აღებას აგვიანებენ

ჭიათურის რაიონში წელს მოსავალი 27.178 ჰექტარზე უნდა აიღონ, მაგრამ სამუშაო მეტად ნელი ტემპით მიმდინარეობს: — ღომის აღება დამთავრების ნაცვლად მხოლოდ 45,1 პროცენტითაა შესრულებული. სიმინდი აღებულია 25.252 ჰექტარზე, — გეგმა შესრულებულია 2,3 პროცენტით. მეტიც, სოფლების: ჭილოვნის, წმინდის, ქორეთის და მღვიმევის კოლმეურნეობებს ჯერ ფურნებიც არ შეუკეთებიათ, არა აქვთ ძელები, გოდრები, არ გაუკეთებიათ ფარდულები და ნაკლებად იყენებენ ქალთა და მოზარდთა შრომას.

თითქმის ასეთივე მდგომარეობაა სხვა სოფლებშიაც.

ზ. დიკანოიძე

○

ნარგავ-ნათესი მოუვლელობით ნადგურდება

სიღნაღის რაიონის საქობის კოლმეურნეობასა და ერთპიროვნულ მეურნეობებში ნამუშევრის დაცვას საჭირო ყურადღება არ ექცევა. უპატრონოდ გაშვებულმა ღორებმა აიკლეს როგორც ვენახები, ისე ბაღები და მინდვრის კულტურები.

გ. ქ—ი

○

ჩაის სტახანოველები ახალ ვალდებულებებს კისრულობენ

ნატანების ჩაის ფაბრიკამ მიმდინარე წლის 15 სექტემბერს ჩაის გადამუშავების წლიური გეგმა 80,4 პროცენტით შეასრულა.

ეს იმის შედეგია, რომ ფაბრიკაში ფართოდ არის გაშლილი სტახანოვური მუშაობა, — თ. მილორმა 13 დღეში 239 მანეთი გამოიმუშავა, — გეგმა 209 პროცენტით შეასრულა. ამავე ვადაში ევ. ლიპარტიანის მიერ გეგმა შესრულებულია 200 პროცენტით, — მიიღო 230 მანეთი.

ასეთსავე წარმატებებს მიაღწია პოლია მარტინენკომ, ნინო სმოლინამ და სხვა სტახანოველებმა, სულ 30-მდე კაცმა. ფაბრიკაში 16 სტახანოველს მიეცა ფულადი ჯილდო 600 მანეთი, 1 სტახანოველი კი წყალტუბოს დასასვენებელ სახლში გაიგზავნა.

ამასთან დაკავშირებით 20 მუშამ იკისრა ახალი დამატებითი ვალდებულება კიდევ უკეთესი მაჩვენებლების მისაღწევად. ახალი წარმატებებისათვის ფაბრიკის ადმინისტრაციამ შედგინა ორი ტექმინიმუმის შემსწავლელი ჯგუფი, სადაც 30 მწნელი ირიცხება.

ს. ბილიხოძე

რესპუბლიკური საკოლმეურნეო ბაზრობა. სურათზე: მარცხნივ—მახარაძის სახელობის საგარეჯოს კოლმეურნეობამ ბაზრობაზე გამოიტანა დიდძალი ბოსტნეული. მარჯვნივ—დიასახლისები იძენენ ბადრიჯანს. ფოტო სტოლიაროვისა („სოიუზფოტოს" საქ. განყ.)

ოქტომბრის ზეიმის წინ

გორი

— 7 ნოემბრისათვის გორში გაიხსნება ახალი, კარგად მოწყობილი ოროსართულიანი სასტუმრო 31 ოთახით. სასტუმროს მშენებლობა 900.000 მანეთად დაჯდა.

— ამავე დღეს გაიხსნება ახალი 300 ადგილიანი კინოთეატრი, რომლის აგებაზე 400.000 მანეთი დაიხარჯა.

— საფუძველი ჩაეყრება დიდ, ხუთასადგილიან საზამთრო სათეატრო შენობას. თეატრის მშენებლობა ორ მილიონ მანეთად დაჯდება.

— შენდება პედაგოგიური ინსტიტუტის შენობა. ათი ოთახი უკვე მზად არის და მეცადინეობა სწარმოებს. ინსტიტუტის მშენებლობა 1937 წელს დამთავრდება.

◇

ახალი ცირკი

ტფილისის ცირკის ახალი შენობის აგება თავდაპირველად გათვალისწინებული იყო მადათოვის კუნძულზე. მშენებლობის დაწყების წინ ჰიდროგეოლოგიურმა გამოკვლევამ ცხადჰყო, რომ იქ ნაყარი მიწაა, რაც თვალსაჩინოდ გააძვირებდა მშენებლობას.

საქართველოს სახკომსაბჭოს დადგენილებით ცირკის ასაგებ ადგილად გამოყოფილია გორკის საბჭოთა კავშირის გმირების მოედანთან. მშენებლობას აწარმოებს საქკურორტმშენი არქიტექტორთა შალუტაშვილისა, ნეპრინცევისა და ურუშაძის პროექტის მიხედვით. ცირკის ნაგებობის საერთო ღირებულება უდრის 3 მილიონ მანეთს. ცირკის დარბაზი დაიტევს 2.000 მაყურებელს. მშენებლობაზე გამოყენებული იქნება ბეტონი. ცირკის გუმბათი აიგება ლითონისა და შუშისაგან.

ამჟამად გაჰყავთ დროებითი მისასვლელი გზა მშენებლობის ტერიტორიასთან და აშენებენ დამხმარე ნაგებობებს. (საქტს)

◇

ხალხური ხატვა-ხელსაქმის გამოფენა

საქ. სახკომსაბჭოსთან არსებულ ხელოვნების საქმეთა სამმართველოს გადაწყვეტილებით, 10 ნოემბერს გაიხსნება ხალხური სახვითი ხელოვნების, ქსოვის, ლითონის მხატვრული დამუშავების, ხალიჩების ქსოვისა და სხვ. რესპუბლიკური გამოფენა.

გამოფენამ უნდა გამოავლინოს საქართველოში ხალხური სახვითი ხელოვნების, ხეზე ჭრის, კერამიკული წარმოების, ქსოვისა და სხვ. დარგების მდგომარეობა, მისცეს საუკეთესო ოსტატებს და შემქმნელებს სტიმული მათი შემდგომი სწრაფი განვითარებისათვის.

გამოფენაზე წარმოდგენილი საუკეთესო ექსპონატების დაჯილდოვებისათვის და გამოფენის საორგანიზაციო ხარჯებისათვის გამოყოფილია 15.000 მანეთი.

გამოყოფილია აგრეთვე გამოფენის მომწყობი კომისია შემდეგი შემადგენლობით: ი. გორდელაძე (თავმჯდომარე), ი. თავაძე, ა. დუდუჩავა, შ. ამირანაშვილი, ე. ბუხნიკაშვილი და დ. შევარდნაძე.

რესპუბლიკური საკოლმეურნეო ბაზრობა

მეორე დღე

ბაზრობის მეორე დღეს ტფილისის ბაზრებზე ვაჭრობა შესამჩნევად გაცხოველდა. ვაჭრობის გაცხოველებამ გავლენა მოახდინა საქონლის ფასებზეც, რაც ფასების დაკლების ტენდენციის ზრდით გამოიხატა. კარტოფილი და კომბოსტო დახურულ ბაზარზე იყიდებოდა 70-75 კაპეიკად კილოგრამი, ბაზრობის პირველ დღეს კი ამ პროდუქტების ფასი 1 მანეთამდე აღწევდა.

მეორე დღეს ბაზარზე უხვად შემოვიდა ხორცი, ყურძენი, ბოსტნეული და ხილი. ხორცზე ფასები დაკლებულია ყველგან. სეზონურ ხილზე (ყურძენი, ჩურჩხელა, მსხალი, კომში და სხვ.) ფასები სტაბილურია.

21 ოქტომბერს დილით ბაზრობაზე გამოვიდნენ ახალციხისა და სამ[illegible]ის რაიონის კოლმეურნეობები. ჩამოვიდნენ აგრეთვე კოლმეურნეები სომხეთიდან, ბორჩალოდან და ტფილისის რაიონიდან.

შემხვედრი ვაჭრობა ბაზრებზე მეორე დღესაც ვერ იყო დაყენებული სათანადო სიმაღლეზე. დესიმონოვის ახალ ბაზარზე შემხვედრი ვაჭრობისათვის გამოყოფილი ახალი პავილიონების მოწყობა დამთავრებული არ არის. ნაწილობრივ დაუმთავრებელია პავილიონების მოწყობა დახურულ ბაზარზეც. მიუხედავად ამისა, პირველ დღესთან შედარებით ბაზრებზე შესამჩნევი ხდება სამრეწველო საქონლის სიუხვე. პირველ დღეს დახურულ ბაზარზე შემხვედრი ვაჭრობის საერთო ბრუნვა 106.000 მანეთს უდრიდა. მეორე დღეს კი შუადღემდე შემხვედრი ვაჭრობის ხაზით გასაღებული იყო დაახლოებით 160.000 მანეთის სამრეწველო საქონელი.

ჩამოსულ კოლმეურნეთა ღამის გასათევი გახსნილია ყველა საბაზრო ადგილზე.

დ. ლ.

უკანასკნელ დღეებში ტფილისის ბაზრებზე თვალსაჩინოდ გაიზარდა ბოსტნეული, ფრინველი, ხორცისა და სხვა პროდუქტების შემოზიდვა კოლმეურნეობების მიერ. სურათზე: დუშეთის რაიონის კოლმეურნეობის მიერ ტფილისის ბაზარზე შემოზიდული კომბოსტო.

ფოტო სტოლიაროვისა—„სოიუზფოტოს" საქ. განყ.

ი. ჭავჭავაძის შემოქმედების საღამო

18 ოქტომბერს მაუდის ფაბრიკის კლუბში გაიმართა ილია ჭავჭავაძის შემოქმედების საღამო.

საღამო შესავალი სიტყვით გახსნა ამავე ფაბრიკის პარტიული კომიტეტის მდივანმა ამხ. ვ. მინდიაშვილმა.

მოხსენება ილია ჭავჭავაძის შემოქმედებისა და ცხოვრების შესახებ გააკეთეს მწერლებმა: ვალ. გაფრინდაშვილმა და სიმონ წვერავამ.

ილიას შესახებ მოგონებები გაუზიარა მსმენელთ ორდენოსანმა მწერალმა მიხ. ჯავახიშვილმა.

საღამოზე პოეტებმა წაიკითხეს ილიას ლექსები და ილიასადმი მიძღვნილი საკუთარი ლექსები: გ. ქუჩიშვილმა „ყვარლის მთებს" და საკუთარი „[illegible] და ილია", „მთა მანთეოსი", ირ. აბაშიძემ—„გუთნისდედა", „ილეგია". ფილ. გოგიჩაიშვილმა ნაწყვეტი: „კაკო ყაჩაღიდან" და საკუთარი ლექსი „სალამი საგურამოს".

დასასრულ ადგილობრივი დრამწრის მიერ წარმოდგენილ იქნა სცენა „კაკო ყაჩაღიდან".

ახალი ამბები

○ **საქართველოს მედმუშაკთა კავშირი** ორჯონიკიძის სახელობის კლუბში ხსნის „ექიმის სახლს". სახლში მოთავსდება სამეცნიერო სამედიცინო საბჭო, ბიბლიოთეკა სპეციალური სამედიცინო ლიტერატურით, სამკითხველო და წითელი კუთხე.

○ **ქუთაისში**, რ. ლუქსემბურგის ქუჩაზე ძირითადად დამთავრდა რკინიგზის თანამშრომელთა საცხოვრებელი სახლის მშენებლობა. მშენებლობაზე დაიხარჯა 1 მილიონი მანეთი. სახლი ექსპლოატაციაში იქნება გადაცემული მომავალი წლის დასაწყისში.

○ **ხაშურში** იწყობა აეროკლუბი და საპარაშუტო კოშკი. აეროკლუბის შენობის შეკეთებაზე დაიხარჯება 3 ათასი მანეთი. კლუბი მოამზადებს მფრინავებს, პლანერისტებს და პარაშუტისტებს.

○ **ტფილისის აეროკლუბის** საფრენოსნო სკოლაში მსმენელთა ახალი კონტინგენტის შესავსებად აეროკლუბი შედგა ხელშეკრულებათა დადებას წარმოება-დაწესებულებებთან. მსმენელად მიღებული ახალგაზრდა მუშები წარმოებას მოუწყვეტლივ.

◇

შემთხვევები

# ქურდების შეპყრობა. უკანასკნელ დღეებში ქალაქის მილიციის მეექვსე განყოფილების თანამშრომლებმა შეიპყრეს ქურდი რეციდივისტების ჯგუფი, რომელმაც 26 [illegible] რაიონში გაქურდა რამდენიმე ბინა. ქურდების ჯგუფში შედიოდნენ: ს. გ. აბგაროვი, რომელსაც ბრალი ედება სამი ბინის გაქურდვაში, აქვს ქურდობის 6 რეგისტრაცია; ფ. ი. კორილენკო, [illegible] 3 წლით თავისუფლების აღკვეთა და გაიქცა შრომა-გასწორების ბანაკიდან; ი. მ. ხოხელაშვილი, რომელიც 12 ოქტომბერს გაითავისუფლეს პატიმრობიდან, ხოლო 14 ოქტომბერს კვლავ დააპატიმრეს ბინის ქურდობის ადგილას. მას ქურდობის აქვსი რეგისტრაცია აქვს; ს. გ. ბუტბელიძე, რომელსაც ქურდობის რამდენიმე რეგისტრაცია აქვს. ქურდებთან ერთად შეიპყრეს მათი დამფარველი და თანამონაწილე ტ. მ. ეროლაძე, რომელსაც ქურდობის 6 რეგისტრაცია აქვს.

ბიბლიოგრაფია

„მარწყვი"

[illegible] წლამდე [illegible] სოფლის [illegible] და [illegible] კულტურა [illegible] რამდენიმე [illegible] კი არ იცოდა, ახლა ამ კულტურის კოლმეურნეობებში და საბჭოთა მეურნეობებში რამდენიმე ათასი ჰექტარი ფართობი უჭირავს.

ჩვენში კიდევ ბევრია ისეთი კულტურა, რომელთა ათვისება შედარებით ნაკლები შრომის დახარჯვით კოლმეურნეობებს კარგ შემოსავალს მისცემს. ამ კულტურათა შორის აღსანიშნავია მარწყვი. როგორც სარეცენზიო ბროშურის ავტორები აღნიშნავენ, „მარწყვი დღემდის უცხო ხილს წარმოადგენდა მუშისა და კოლმეურნის სუფრაზე, ეს იმ დროს, როდესაც საქართველოს ბუნებრივი პირობები სავსებით შესაძლებლობას იძლევა ფართო კულტურის სამრეწველო გაშენებისათვის".

„მარწყვის კულტურის განვითარების საქართველოში დღემდის დიდად აბრკოლებდა ის, რომ იგი სათანადოდ არ იყო შესწავლილი და, რაც მთავარია, ამის შესახებ ქართულ ენაზე თითქმის ერთი საცნობარო წიგნიც არ მოიპოვებოდა. ამ ხარვეზს ნაწილობრივად ავსებს აგრონომების ნ. აბაშიძისა და გელ. მინდიაძის კულტურის დამუშავებული წიგნი. ავტორებს სარეცენზიო შრომაში, უცხოეთის (უმთავრესად ინგლისური) და რუსეთის ლიტერატურასთან ერთად გამოყენებული აქვთ საქართველოს სხვადასხვა ადგილებში მარწყვზე ჩატარებული ცდების მონაცემები და პირადი დაკვირვებანი. მასში დაწვრილებით არის განხილული, თუ როგორ და რა წესით შეიძლება მარწყვის გამრავლება, მისთვის ნიადაგის შერჩევა და დამუშავება, რგვა, მოსავლიანობის გადიდება, მორწყვა, კულტივაცია, მავნებლების წინააღმდეგ ბრძოლა, თესლბრუნვის მოწყობა, მოსავლის აღება, დამუშავება და გადაგზავნა. წიგნს დართული აქვს აგრეთვე მარწყვის პლანტაციების სამუშაოთა აგროტექნიკური გეგმები და გამომუშავების საშუალო ნორმები.

ადგილობრივი კლიმატური პირობების შესაბამისად ავტორებს განხილული აქვთ მარწყვის რამდენიმე სამრეწველო ჯიში, როგორიცაა დეიზენერი, ლაქსტონინი, აფამკრა, კაიხერი, ანანასი, ვიქტორია, შპიშლერი და სხვ. მათ მითითებული აქვთ აგრეთვე, მარწყვის რომელი ჯიში საქართველოს რომელ რაიონსა და სოფელში შეიძლება გავრცელდეს.

წიგნი დამუშავებულია პრაქტიკული გამოყენების თვალსაზრისით. იგი დიდ დახმარებას გაუწევს იმ აგრონომებს, ბრიგადირებს და კოლმეურნეებს, რომლებიც მარწყვის გაშენებას მიისწრაფიან ან გადაწყვეტილი აქვთ მისი გაშენება.

ნ. ა—ლი

◇

პარტკალენდარი

ლ. კეცხოველის სახელობის პროპაგანდისტისა და აგიტატორის სახლში

პროპაგანდისტთა სკოლის მეცადინეობა (რუსული და სომხური ჯგუფები). საღამოს 7 საათზე.

საქ. კპ. (ბ) ისტორიის კაბინეტი—კონსულტაცია თემაზე: „[illegible] შესახებ 1920 წელს". საღამოს 7 საათზე, ქართულ ენაზე.

ლენინიზმის კაბინეტი — კონსულტაცია. „ლენინ-სტალინის მოძღვრება ნაციონალური საკითხის შესახებ და სსრ კავშირის ახალი კონსტიტუციის პროექტი". საღამოს 8 საათზე.

აგიტაციის კაბინეტი — კონსულტაცია თემაზე: „ესპანეთის რევოლუციის თავისებურებანი". საღამოს 8 საათზე.

[illegible] კაბინეტი — კონსულტაცია კომკავშირის პროპაგანდისტებისა და აქტივისათვის თემაზე: „მარქსი და ენგელსი ბურჟუაზიულ-დემოკრატიული რევოლუციის სოციალისტურ რევოლუციაში გადაზრდის შესახებ".

○

— **კიროვის რაიკომის პარტკაბინეტში** დღეს, საღამოს 7 საათზე შეიკრიბება აგიტკოლექტივების (წრეებისა და პარტიული ჯგუფების) მორიგი მეცადინეობა. იმ არეპოლიტიკის ფაბრიკების, მაღაზიების, წყლისა სანარმოებისა და დაწესებულებების აგიტატორების [illegible] დასწრებით. თემები: 1. „ფაშისტური მეამბოხეების წინააღმდეგ დემოკრატიული ესპანეთისათვის შეიარაღებული ბრძოლის შესახებ თავი". 2. „შეთანხმების [illegible] ესპანეთის შინაურ საქმეებში ჩაურევლობის შესახებ". 3. „საფრანგეთის ფაშისტების ოცნება".

— **22 ოქტომბერს, საღამოს 7 საათზე** სტალინის რაიკომის პარტკაბინეტის სახლში აგიტატორებისა და პროპაგანდისტებისათვის ეკონომგეოგრაფიაში გაიმართება პროფ. ათაბეგოვის ლექცია თემაზე: „ინგლისი".

რუსთაველის სახელობის ლენინის ორდენოსანი თეატრი
1936-37 წ. სეზონი

22 ოქტომბერს	არსენა
23 ოქტომბერს	არსენა

სალარო ღიაა 12 საათიდან 8-ნახ. საათამდე დასაწყისი 8 საათზე.
25 ოქტომბრიდან იწარმოება ნოემბრის და დეკემბრის თვეების მუდმივი ადგილების ბილეთების გაცემა. [illegible]

მარჯანიშვილის სახელ. თეატრი

22 ოქტომბერს წარმ. № 15	მზის დაბნელება საქართველოში
23 ოქტომბერს წარმ. № 16	მზის დაბნელება საქართველოში

ბილეთები თეატრის სალაროში დილის 12-დან—საღამოს 9 საათამდე დასაწყისი საღამოს 8 საათზე. თეატრთან ჩერდება ავტობუსი № 4 და 2.

ცირკი
ელბაქიძის დაღმ. 14
ტელ. 3-11-44

დღეს და ყოველ დღე
დიდი საცირკო წარმოდგენა გასტროლებად
საბჭოთა პირველი მწვრთნელი ნ. პ. [illegible]
სულ 10 ნომერი მწვრთნელთა და [illegible] ნარევი ჯგუფი. ლომები, დათვები, [illegible] და სხვ.
დასაწყისი 8 ს. 30 წ. სალარო ღიაა 12-დან 2 ს-მდე და 5 საათიდან
24 ოქტ. დღის მორიგი წარმ. [illegible] მონაწილეობით.

კინოთეატრები

ოქტომბერი 6-30, 8, 9-30, 11	ხმოვანი [illegible] ფილმი ღამის მეეტლე
დამკვრელი სახამ. 6 30, 8, 9 30, 11; სახაფხ. 7-30, 9, 10 30	დაიწყება მე 2 კვირა ხმოვანი კომედია ქალიშვილმა პაემანზე იჩქარება
კომკავშირელი სახამ. 3, 6-30, 8, 9-30, 11; სახაფხ. 8, 10	საზამთრო შენობაში პარტიული ბილეთი; საზაფხულო შენობაში [illegible]
ლუნაჩარსკის სახ. 6-30, 8 30, 10-0	ხმოვანი ფილმი [illegible] ერთი ქუჩიდან
[illegible] 8, 10	[illegible]
კომინტერნი სახელ. 8, 10	ხმოვანი ფილმი კაპიტან გრანტის შვილები
ახალი ამბები (ქრონიკის თეატრი)	1) ესპანეთის ამბები № 2 გამოშვება 2) ხმოვანი ჟურნალი № 41.

თანახმად საქ. სახკომსაბჭოს ა-წ. 13 ოქტომბრის დადგენილებისა № 1301 და საკავშირო რწმუნებულების პლენუმის გადაწყვეტილებისა ს. ს. ს. რ. სოც. უზრუნველყოფის კომისარიატთან არსებული

საქ. ღარიბ ებრაელთა დამხმარე კომიტეტი

15 ოქტომბრიდან

ლიკვიდირებულია

საქ. [illegible] ლიკვიდაციისათვის დაარსებულია [illegible], რომელიც მოთავსებულია [illegible] № 5.

[illegible]

10496

ლიკვიდკომი.

ბალანსი

სარეწაო კოოპერაციის საპარიკმახერო არტელი „შეკავშირება"

აქტივი — 1936 წლის 1 იანვრისათვის — პასივი

№ რიგზე	მუხლების დასახელება	ჯამი მან.	ჯამი კაპ.	№ რიგზე	მუხლების დასახელება	ჯამი მან.	ჯამი კაპ.
1	ძირითადი საშუალებანი	116.731	22	1	ძირითადი ფონდი	104.5[illegible]8	90
2	საწარმოო მარაგი	88.526	92	2	დანარჩენი ფონდები	175.480	60
3	სავნები გამოყოფილი რეალიზაც.	43.862	6	3	მიზნობრივი რესურსები	9.548	40
4	ფულადი საშუალებანი	127.821	53	4	ანგარიშსწორებანი	95.596	96
5	ანგარიშსწორებანი	47.081	71	5	დაგროვება საანგარიშო წლის	142.580	81
6	მომავალი დროის ხარჯები	8.138	17				
7	განყენებული საშუალებანი	105.779	46				
	ბალანსი	527.740	67		ბალანსი	527.740	67

გამგეობის თავმჯდომარე გუგეშაშვილი. მთ. ბუხჰალტერი ა. ზანიან.

დამტკიცებულია „სარეწაო კავშირის" საბალანსო კომისიის მიერ. 674

ბალანსი

საქ. ადგილობრივ მრეწველობის სახალხო კომისარიატის საფეიქრო-სატრიკოტაჟო მომარაგება-გასაღებისა 1936 წლის 1 იანვრისათვის და მისი შედარება 1935 წლის 1 იანვრის მონაცემებთან.

აქტივი	1935 წ. 1 იანვრისათვის	1936 წ. 1 იანვრისათვის	პასივი	1935 წ. 1 იანვრისათვის	1936 წ. 1 იანვრისათვის
1. ძირითადი საშუალებანი საწარმოო მნიშვნელობისა	7220—22	189824—78	1. საწესდებო ფონდი	309974—84	869006—15
ა) ძირითადი საშუალებანი მომქმედი	7220—22	63969—94	2. საამორტიზაციო ფონდი	—	5534—60
ბ) ძირითადი საშუალებანი უმოქმედო	—	125853—84	3. სპეცფონდები	—	742—84
2. ძირითადი საშუალებანი არასაწარმოო და მომსახურებითი მნიშვნელობისა	302754—62	328663—01	4. რესურსები	200——	274368—13
3. საწარმოო მარაგი საწყობში და გზაში	—	1212—40	5. მოკლევადიანი (სახ. ბანკის) კრედიტი	—	228390——
4. საქონელი და მზანაწარმი საწყობში, გზაში, გადაგზავნილი და სარეალიზაციოდ გამოყოფილი ფასეულობანი	—	1052894—41	6. კრედიტორები	221174—06	463378—58
5. ფულადი საშუალებანი	41747—34	222319—04	7. მოგება მოგება საანგარიშგებო წლის		148176—57
6. დებიტორები	166502—33	192502—64			
7. მომავალი პერიოდის ხარჯები	4690—30	5381—60			
8. გამოყოფილი საშუალებანი	—	3000——			
9. ზარალი ა) ზარალი საანგარიშგებო წლისა	8434—09	—			
ბალანსი	531348—90	1995596—87	ბალანსი	5 1348—90	199536—87

საქ. ტრიკ. მომარ.-გასაღების უფრ.: ი. ყრუაშვილი. უფ. ბუხჰალტერი: ვ. შ ნგელია.

ეს ბალანსი გახილულია საქ. ადგ. მრეწვ. კომისარიატის სპეცკომისიის მიერ, დამტკიცებულია საქ. ადგ. მრეწველობის კომისრის მიერ და ნებადართულია გამოსაქვეყნებლად.

საქ. ადგ. მრეწვ. სახ. კომ. მთ. ბუხჰალტერი: ვ. ჯანელიძე.

1583

ხვით
მინერალური, სამკურნალო
სუფრის წყალი
„ძაუ-სუარი"

„ძაუ-სუარი" წყაროს მინერალური წყალი [illegible]

„ძაუ-სუარის" წყარო [illegible]

„ძაუ-სუარი" იყიდება სსრ კავშირის ყველა დიდ ქალაქში.

მოითხოვეთ

„ძაუ-სუარი" საქმინწყლის [illegible] ტფილისი, გრიბოედოვის ქ. 18.

672
1-4

განსახკომი აცხადებს:

1) სახელმწიფო უნივერსიტეტის 1930 წლამდე პედაგოგიურ, საფინანსო-ეკონომიურ, საბჭოთა აღმშენებლობის და სამართლის ინსტიტუტებში 1934 წლამდე კურსდამთავრებულებს რომელთაც ჩაუბარებელი დარჩათ არა უმეტეს სამი საგნისა, ნება ეძლევათ ჩააბარონ დარჩენილი საგნები ტფილისის სახელმწიფო უნივერსიტეტში საგამოცდო კომისიებზე 1936 წ. დეკემბერს და 1937 წ. იანვარში.

2) იმ კურსდამთავრებულთ კი, რომელთაც დარჩენილი აქვთ ჩაუბარებელი სამ საგანზე მეტი, ნება ეძლევათ ჩაირიცხონ დაუსწრებელ ინსტიტუტის სათანადო კურსზე.

3) 1930 წლამდე სახელმწიფო უნივერსიტეტდამთავრებულები ვალდებულნი არიან წარმოადგინონ მატრიკულები და ცნობები საგნების ჩაბარების შესახებ განათლების სახალხო კომისარიატის უმაღლეს სკოლების სამმართველოში ა-წ. 15 ნოემბრამდე.

განსახკომის უმაღლეს სკოლების სამმართველოს უფროსი
პროფ. დ. დოლიძე.

ამიერ-კავკასიის კიროვის სახელობის

ინდუსტრიალური ინსტიტუტი

წინადადებას აძლევს ყველა იმ ახალგაზრდა სპეციალისტებს, რომელთაც დაამთავრეს სამთომშენებლო ფაკულტეტი და არ არიან გაგზავნილი მუდმივ სამუშაოზე, გამოცხადდნენ 22 ოქტომბერს ინსტიტუტის [illegible].

694 ამიერკავკ. ინდუსტრიალური ინსტიტუტის დირექტორი

საქართველოს საბჭოთა მწერლების კავშირი იუწყება, რომ 24 ოქტომბერს, დღის 2 საათზე, ვერის სასაფლაოზე [illegible] მწერლების

ვარლამ რუხაძის და სოფო მგელაძის

[illegible] პანაშვიდი.

მისამართები: რედაქციის — ტფილისი, რუსთაველის პროსპექტი №16 გამომცემლობის — რუსთაველის პროსპექტი, №34. ტელეფონები: პასუხისმგებელი რედაქტორის: 3—62—26, მოადგილეების: 3—63—03 და 3—08—67; სამდივნოსი: 3—06—88, განყოფილებებისა: პარტიულის — 3—57—61, სასოფლო სამეურნეოსი 3—73—40, მშრომელთა წერილების 3—73—24; გამომცემლობის 3—51 81 ღამის რედაქტორის — 3—26—67. ხელნაწერები ავტორებს არ უბრუნდებათ

ხ. თოდრიას სახელობის სტამბა „კომუნისტი", კამოს ქ. № 88. მთავლიტის რწმუნებული ე 8509